ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2024 წელი, 26 თებერვალი, №1 (6575)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად, ქვეყნის მასშტაბით 40 610 000 ლარი განისაზღვრა.

2024 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის 326 000 ლარი გამოეყო.

სოფლებში შეხვედრები, საერთო კრების ფორმატში 1 თებერვლიდან დაიწყო და მუნიციპალიტეტის 21 სოფელში ეტაპობრივად ჩატარდა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სოფელში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხორციელდება, რომელიც მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასა და სოფლად არსებული პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები წარმატებით დასრულდა და შემდეგი პრიორიტეტები გამოიკვეთა:

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## ეროვნული მოძრაობა ზურაბ ჭავჭავაძის არჩეული გზით რომ წარმართულიყო, ეთნოკომფლიქტებსაც ავიცილებდით და სხვა უბედურებასაც...

*1977 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 31-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1983 წელს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1983 წლის 13 ივნისიდან 1987 წლამდე იყო პოლიტპატიმარი (საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ 71-ე მუხლით განესაზღვრა ოთხი წლით პატიმრობა) და სასჯელს იხდიდა პერმის პოლიტბანაკში.*

*1987-1994 წლებში იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი, 1992 წლიდან ააიპ „საზოგადოება მემორიალი“ გამგეობის წევრი (საზღვარგართთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელი), 2015 წლიდან სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ სპეციალისტია.*

*მიღებული აქვს: უკრაინის ჰელსინკის კავშირის საპატიო სიგელი, პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის მიერ გაცემული სამხედრო ოფიცრის ორდენი „პოლონეთის რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის“, უკრაინის მთავრობის საპატიო მედალი „უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის“ და „მებრძოლი სოლიდარობის“ დამფუძნებლისა და ლიდერის კორნელი მორავეცკის მიერ დაწესებული ორდენი „სამხედრო ოფიცრის ჯვარი მებრძოლი სოლიდარობისათვის“.*

*ამასთან ერთად, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ყოფილ პოლიტპატიმარს, ზურაბ ჭავჭავაძის უახლოეს მეგობარს, ბატონ ტარიელ ღვინიაშვილს და ამიტომაც ვთხოვე ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა.*

**– ბატონო ტარიელ, საქართველოს ეროვნული გმირის, ეროვნული დამოუკიდებლობის თვალსაჩინო მოღვაწის ზურაბ**

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## დაზიანებული სახლების გადახურვის სამუშაოები დასრულების პროცესშია

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, ყვარლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან მალხაზ ხაბარაშვილთან ერთად სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გადახურვის პროცესს ადგილზე გაეცნო.

ქ. ყვარელსა და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გადახურვა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სტიქიის მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტს ჯამურად, 4 მილიონ 170 ათასი ლარი გამოეყო. მერიის სტიქიის მუდმივმოქმედი კომისიის წევრების მიერ დათვლილი და შესწავლილი იქნა დაზარალებული ოჯახების რაოდენობა და მდგომარეობა.

დღეის მდგომარეობით, სულ დასრულებულია 242 სახლის (ქ. ყვარელი – 165, სოფ. ჭიკაანი – 77) სახურავის მოწყობის სამუშაოები. სახურავის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს 31 სახლზე (ქ. ყვარელი – 30; სოფ. ჭიკაანი 1).

სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული დახმარება ჯამში გაეწევა სტიქიისაგან დაზარალებულ 300-ზე მეტ კერძო საცხოვრებელ სახლსა და 2 საერთო საცხოვრებელ კორპუსს.

## საპატიო წოდების მონიჭება უფრო მეტი პასუხისმგებლობაა, რათა ღირსეულად ემსახურო ადამიანებს

*იყო ექიმი-ნევროპათოლოგი მეტად დიდი და საპასუხისმგებლო პროფესიაა. ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ნევროპათოლოგია შეისწავლის ნერვული სისტემის დაავადებების მიზეზებს, განვითარების მექანიზმებს, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას. ნევროპათოლოგია საერთო სახელწოდებაა ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის მოშლილობისა. ნერვული სისტემის დაავადებებს შეისწავლის აგრეთვე ნეიროქირურგია და ფსიქიატრია. ძველ ეგვიპტურ, ჩინურ, ბერძნულ და რომაულ ხელნაწერებში მოიპოვება უამრავი ცნობები ამ დაავადებების შესახებ. დიდ მეცნიერთა ნაშრომებმა კი საფუძველი ჩაუყარეს ნერვული სისტემის დაავადებათა გამოცნობას. ამ საკმაოდ რთული პროფესიის პროფილაქტიკურ საქმეს ემსახურება როგორც ქალაქის, ისე რაიონული პოლიკლინიკების ნევროპათოლოგიური კაბინეტები, სპეციალური ნევროპათოლოგიური სანატორიუმები და სხვა. ამ დაავადებათა და სხვა საკითხებზე საუბარი ვთხოვეთ რაიონში კარგად ცნობილ ნევროპათოლოგს, ქალბატონ თამარ მეტრეველს, რომელიც რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.*

**– ქალბატონო თამარ, გილოცავთ ამ წოდების მონიჭებას, ახალ 2024 წელს, გისურვებთ პირველ რიგში ჯანმრთელობას და წარმატებებს როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს თქვენ, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, რომელიც ასე სჭირდებით რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას ამ დაავადების გამკლავებაში და მკურნალობაში, არც თუ ისე დატვირთული ხართ. რატომ?**

– დიდი მადლობა. მეც მინდა მოგილოცოთ, მივულოცო ყველას შობა-ახალი წელი. მშვიდობიანი ყოფილიყოს ყველა ოჯახისათვის და ბევრი სიხარული მოეტანოს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას – ვერ ვიტყოდი, რომ არ ვარ დატვირთული. მოგეხსენებათ, რა ხშირია მოსახლეობაში ნევროლოგიური პრობლემები. შესაბამისად დახმარებაც ბევრს სჭირდება, რაზედაც არასოდეს, არანაირი მიზეზით უარი არ მითქვამს. (თუ არ ჩავთვლით კოვიდის პერიოდს, როდესაც უფრო სატელეფონო კონსულტაციებს ვიყენებდი).

**– ქალბატონო თამარ, როგორ გაიხ-**

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## სამუშაო შეხვედრები ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში

19 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა, სტრუქტურული ერთეულებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, სამუშაო შეხვედრები გამართა, სადაც განხილული იქნა, მერიის მუშაობის პროცესში განსახორციელებელi საკითხები, საჭიროებები და სამომავლო გეგმები. ასევე, განიხილეს დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

მერმა, წარმომადგენლებისაგან მოისმინა სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, იმსჯელეს არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

## ... მერე უეცრად, როგორც მეთევზის ანკესს, ისე წამოვაგებ ჩემ ფიქრს ერთ სიტყვას და...



*არასდროს ვაძლევ თავს უფლებას, რომ გადაჭრით შევაფასო თანამედროვე შემომქმედი ადამიანის ნიჭიერება იმიტომ, რომ ეს შეფასება გარკვეულწილად სუბიექტური იქნება. როგორც ამბობენ, „დრო პირუთვნელი მსაჯულია“, ყველაფერს კარგად შეაფასებს და თავის ადგილს მიუჩენს. მე მხოლოდ თქვენამდე მოვიტან და გაგაცნობთ საინტერესო ადამიანებს და მათ შემოქმედებას.*

*მე მაინც მგონია, ყველაზე დიდი ნიჭი ადამიანში თავმდაბლობა და მოკრძალებაა. ნიჭია, როცა რაღაცას მხოლოდ იმიტომ აკეთებ, რომ ეს შენი სულიერი მოთხოვნილებაა და არა დაუოკებელი ამბიცია იმის, რომ პოეტი ხარ...*

*მარი გაიდოშვილი, პოეზიის „მადლით ცხებული“ კიდევ ერთი ყვარელია, რომლის ლექსებიც გულგრილს არ დაგტოვებთ. ბევრს დაგაფიქრებთ, ბევრს ჩაგაფიქრებთ, აგაღელვებთ და მის სულიერ სამყაროს დაგანახებთ.*

**– მარი მოგვიყევი შენ შესახებ... საკუთარი თავს როგორ გაგვაცნობდი?**

– თბილისში დავიბადე. 7 წლამდე აქ ვიზრდებოდი, შემდეგ ოჯახით გადმოვედი ყვარელში რადგან მამა მყავს ყვარლიდან. მე-9 კლასამდე ყვარლის №1 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. ხოლო 9 კლასის დამთავრების შემდეგ, ისევ თბილისში გადავედი და გავაგრძელე სწავლა № 18 სკოლა – ლიცეუმში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. სამ წლიანი სწავლების შემდეგ ჩავაბარე ილიას უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსულ-ინგლისურ ფაკულტეტზე. დავასრულე უმაღლესი სასწავლებელი თუ არა, გადმოვედი ისევ ქალაქ ყვარელში და დავიწყე მუშაობა უცხო ენების პედაგოგად ყვარლის მესამე საჯარო სკოლაში. მესამე საჯარო სკოლა მალე დაიხურა და ყველა პედაგოგი, რომელიც იმ სკოლაში ვმოღვაწეობდით გადმოგვიყვანეს და შეგვაერთეს მეორე საშუალო სკოლას, სადაც 5 წელი მომიწია მუშაობამ. შემდეგ ოჯახური პირობების გამო ისევ თბილისში მომიხდა გადმოსვლა, აქაც ხუთი წლის მანძილზე ვმუშაობდი აბიტურიენტების მოსამზადებელ ცენტრში უცხო ენების სპეციალისტად, მაგრამ მოხდა ისე, რომ მომიწია რადიკალურად სხვა სფეროში გადასვლა, ეს იყო სატრანსპორტო კომპანია რომელიც ანხორციელებდა საერთაშორისო სახმელეთო გადაზიდვებს. ამ კომპანიაში სიხარულით მიმიღეს რადგან ენების ცოდნა ითვლებოდა პრიორიტეტად. გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი ლოჯისტიკის მენეჯერის თანამდებობაზე, საკმაოდ კარგად დავეუფლე ამ პროფესიას და გა-

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

# სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

სოფელი მთისძირი – სასმელი წყლის ჭაბურღილისა და გარე განათების ქსელის მოწყობა;

სოფელი ბალღოჯიანი – სკვერისა და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სოფელი ახალსოფელი – ფეხბურთის მინი სტადიონისა და გარე განათების ქსელის მოწყობა;

სოფელი ჭიკაანი – სტადიონის რეაბილიტაცია და საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა;

სოფელი გავაზი – საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და სტადიონზე სპორტული ინფრასტრუქტურის (ტრენაჟორები) მოწყობა;

სოფელი სანავარდო – არსებული სკვერის კეთლმოწყობა და არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;

სოფელი თხილისწყარო – სანიაღვრე არხების მოწყობის დასრულება და გზის მოხრეშვა;

სოფელი შოროხი – სანიაღვრე ერხების მოწყობის გაგრძელება და გზის მოხრეშვა;

სოფელი საცხენე – სანიაღვრე არხების მოწყობა და სოფელში შესასვლელი გზის მოხრეშვა;

სოფელი თივი – სანიაღვრე არხის მოწყობა და სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;

სოფელი ზინობიანი – სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, გამრიცხველიანება და 2 რეზერვუარის მოცულობის გაზრდა და შიდა საუბნო გზის მოხრეშვა;

სოფელი წიწკანაანთსერი – შიდა საუბნო გზის მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობის დასრულება;

სოფელი კუჭატანი – სანიაღვრე არხების მოწყობა და სტადიონის კეთილმოწყობა;

სოფელი ალმატი – ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა და სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;

სოფელი შაქრიანი – სასმელი წყლის სისტემის ამოცვლა, სათავე ნაგებობის ამოწმენდა და შიდა საუბნო გზის მოხრეშვა;

სოფელი გრძელჭალა – სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა, წყლის სიტემის ამოცვლა, არსებული რეზერვუარის მოცულობის გაზრდა. ასევე, შიდა საუბნო გზის მოხრეშვა და წყალამრიდის მოწყობა;

სოფელი შილდა – გარე განათების მოწყობა და სკვერში არსებული განათების რეაბილიტაცია;

სოფელი ენისელი – არსებული სტადიონის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია;

სოფელი საბუე – საბავშვო ბაღში გათბობის სისტემის მოწყობა და სასაფლაოს შემოღობვა;

სოფელი გრემი – არსებული სკვერის რეაბილიტაციის დასრულება და მინი სტადიონის მოწყობა;

მოსახლეობასთან შეხვედრებს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს მაჟორიტარი წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# საპატიო წოდების მონიჭება უფრო მეტი პასუხისმგებლობაა, რათა ღირსეულად ემსახურო ადამიანებს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**სენებდით ახალგაზრდობის პერიოდს, მოსწავლეობის ხანას. იმ პერიოდში, როდესაც სკოლას ამთავრებდით, მაშინ მოგეხსენებათ, არც თუ ისე ადვილი იყო სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა. უნდა გქონოდა ან ცოდნა, ან ფული. თქვენ შემთვევაში როგორ იყო?**

– ბავშვობა, სკოლის პერიოდი იყო სრულიად ფანტასტიური, ლაღი, უზრუნველი. ცოცხალი ურთიერთობები, საყვარელი მეგობრები, საყვარელი მასწავლებლები. ყველაფერს ვასწრებდით, ყველა წრეზე დავდიოდით. ბავშვების უმრავლესობამ მუსიკალური სკოლაც დავამთავრეთ.

უბნები ბავშვებით იყო სავსე არდადეგებზე, ფიქალების პიონერთა ბანაკში დასვენება ხომ ცალკე ისტორიაა.

სკოლის დამთავრების პერიოდში რამოდენიმე პროფესიაზე ვფიქრობდი, მაგრამ ექიმობის სურვილმა გადამძლია. ალბათ მამიდის პროფესიის დიდი გავლენაც იყო. თუმცა, თვითონ დაბეჯითებით არ ურჩევია. ჩაბარება და ჩარიცხვა ალბათ ჩემმა სურვილმა და ცოდნამ განაპირობა.

**– მამიდათქვენი, ქალბატონი ლალი მეტრეველი, (ნათელში ამყოფოს უფალმა), პროფესიონალი ექიმი გახლდათ. საიდან აღარ მოდიოდნენ ხოლმე მასთან, კახეთის რეგიონში ერთ-ერთი ცნობილი და მოსახლეობისათვის საიმედო ექიმი იყო, რომელთაც სჯეროდათ მისი. თქვენც მის კვალს გაყევით. ამიტომ ხომ არ აირჩიეთ ეს პროფესია, რომ მამიდის საქმე გაგეგრძელებინათ?**

– ნამდვილად მართალი ბრძანდებით. ის იყო თავისი საქმის პროფესიონალი და ყველასათვის საყვარელი ექიმი. მე ძალიან გამიმართლა, – ახალგაზრდა ექიმს გვერდით მედგა, რჩევებს მაძლევდა, მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. ჩემი პროფესიის მთელი სიმძიმე წლების განმავლობაში მასთან ერთად გავიარე. თუმცა მარტოსაც დიდხანს მომიწია. – იყო წარმატებული და წარუმატებელი დღეებიც. ბევრ პაციენტთან ვარ ნამყოფი ბინაზე არა მარტო ყვარელში, სოფლებშიც. რა ტიპის ტრანსპორტით არ ვყოფილვარ დღე და ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში. სისწრაფეზე და რისკებზე აღარაფერს ვამბობ, – საავადმყოფოში, საკონსულტაციოდ გამოძახებები ყოველგვარი გრაფიკის გარეშე. და ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე რთულ პერიოდში.

**– როგორი იყო თქვენი სტუდენტური წლები და ამ წლებში გასახსენებელი რაიმე კურიოზები?**

– სტუდენტობა რომ უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, ნოდარ დუმბაძემ ზურიკელას ათქმევინა. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. იყო ძალიან ბევრი შრომა, უძილო ღამეები, გამოცდების ციებ-ცხელება. სტუდენტობის პერიოდში შეძენილი უერთგულესი მეგობრები, დედაქალაქში ცხოვრების ხიბლი – თეატრი (რუსთაველის თეატრის ზენიტიც მაშინ იყო – „კავკასიური“... „რიჩარდი“... „ყვარყვარე“...), ოპერა, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, კინო, შეხვედრები. მოკლედ, ქვეყანა ჩვენი გვეგონა.

სამწუხაროდ, ამ პერიოდში ჩემს ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა. ტრაგიკულად დაიღუპა ჩემი 16 წლის ძმა. არ ვიცი, რა სიტყვებით უნდა გამოხატო ადამიანმა... ჩვენი ცხოვრება კი მას შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა.

**– რას ნიშნავს თქვენთვის რაიონის საპატიო მოქალაქეობა?**

– იცით რა? – თვითკრიტიკული ადამიანისთვის ძალიან ძნელია, უფრო სწორედ შეუძლებელია მიღება ასეთი პატივი რომ „დაგატყდა თავს“ და ეს ყველაფერი დიდ მღელვარებასთან, განცდებთან არის დაკავშირებული. უდიდესი პატივია ყველა იმ ღირსეული ადამიანის გვერდით დაყენება, ვინც ატარებს ამ საპატიო წოდებას და კიდევ რამდენი ღირსეული ადამიანი დადის ამ ქალაქში. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობაა იმისა, რომ შენც ღირსეულად ემსახურო შენს რაიონს, შენს ხალხს. მეტი რა დამრჩენია, თუ არა უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ღირსად ჩამთვალა. ალბათ ბევრი რამაც შემშლია, რისთვისაც ბოდიშს მოვიხდი.

**– რა შეხედულებისა ხართ დღეს ყვარელში არსებულ პოლიკლინიკა-საავადმყოფოს სამედიცინო მომსახურებაზე?**

– სამწუხაროდ, მე მაგის შემფასებლად ვერ გამოვდგები. რა თქმა უნდა, ვისურვებდი უკეთესად აღჭურვილი რომ ყოფილიყო და შესაბამისად მეტი სერვისის შესაძლებლობა ჰქონოდა ჩვენი საავადმყოფოს პერსონალს. და რა თქმა უნდა, ჩვენს მოქალაქეებს ჩვენივე ქალაქში რომ ვუწევდეთ დახმარებას, რაც თუნდაც მეზობელ რაიონებშიც რომ არის შესაძლებელი, – უკეთესი იქნებოდა. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ მწვავე ინსულტის შემთხვევაში პაციენტის ჰოსპიტალიზაციის საკითხი კარგადაა მოგვარებული. ავადმყოფი გადაჰყავს სასწრაფო დახმარების ბრიგადას. ჰოსპიტალთან შეთანხმება ხდება წინასწარ თელავის ან გურჯაანის რაიონში და არავითარ დაბრკოლებას

ადგილი არ აქვს. სხვა არის პაციენტების მართვა რეაბილიტაციის პერიოდში, რომელიც აშკარად უკეთესის სურვილს ბადებს და რაც, შეიძლება ითქვას, არც არსებობს. (მე კი ძირითადად ასეთ პაციენტებთან მაქვს შეხება).

**– ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ. რას გვეტყოდით შვილებზე და შვილიშვილებზე? რომელიმემ ხომ არ აირჩია თქვენი პროფესია?**

– ყვარელში დაბრუნების შემდეგ მალე დავოჯახდი. ჩემს მეუღლეს – თემო ცუკილაშვილს ახალი დამთავრებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და თავის სპეციალობით მუშაობდა. შეგვეძინა ორი ვაჟი – ნიკა და გიორგი. მათაც დაახლოებით იგივე გზა გაიარეს – ისწავლეს, დაბრუნდნენ, მუშაობენ. გიორგი დაოჯახდა. მყავს ორი შვილიშვილი – თემუკა და გაბრიელი; მეუღლე სამწუხაროდ, ნაადრევად გამოაკლდა ოჯახს. რაც შეეხება ექიმის პროფესიის გაგრძელებას, ჩვენს ოჯახში, ეტყობა მამიდის ხაზით ხდება. ექიმობას აპირებს ჩემი ძმისშვილი მერაბ მეტრეველი, ის უკვე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია.

**– მუშაობის რომელი წლები იყო თქვენთვის საუკეთესო, როგორ ექიმებთან გიხდებოდათ მუშაობა, რას გვეტყოდით მათზე?**

– ეს არის თემა, რომელზე ლაპარაკით არც დავიღლები, არც მომწყინდება. ყველაფერი რომ გითხრათ, რისი თქმაც მინდა და საჭიროა, ალბათ სქელტანიანი წიგნი გამოვა. მუშაობა რომ დავიწყე, დამხვდა სრულიად არაჩვეულებრივი კოლექტივი. უფროსი თაობის პროფესიონალები, კეთილშობილი, კეთილგანწყობილი, იუმორის გრძნობით აღსავსე, საქმის ერთგული ადამიანები, თითოეული მათგანი ამ ქალაქის კოლორიტი, სათაყვანებელი ადამიანები და რაც მთავარია, მოქალაქეების დიდი იმედები იყვნენ. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ჩვენს შორის აღარ არის. არ მავიწყდება დილის კონფერენციაზე განსახილველი საქმიანი, ხშირად საჭირბოროტო საკითხები, ამასთან ერთად ბევრი ხუმრობა, იუმორი. სამუშაოს ასე დაწყება ალბათ აუცილებელი იყო, რომელიც იმ დღის სირთულეების გამკლავებაში გვეხმარებოდა.

ყოველ წელს ახალგაზრდა ექიმები გვემატებოდა. საბედნიეროდ არც ისე ცოტა და ერთმანეთზე უკეთესი აკადემიური ცოდნით. მოხარული ვარ, რომ მათთან ერთად ბევრი წელი მომიწია მუშაობა. ბევრი მათგანი დღესაც ღირსეულად, თავდაუზოგავად ემსახურება თავის პროფესიას.

წლების წინ საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანების პერიოდში საავადმყოფოშიც და პოლიკლინიკაშიც მარტო მე ვმუშაობდი – ერთი შტატი იყო. მომდევნო წლებში პოლიკლინიკაში დაემატა ნევროლოგი. მე მხოლოდ საავადმყოფოში დავრჩი. არ შემიძლია არ აღვნიშნო საავადმყოფოს ერთ მუშტად შეკრული ექიმების კოლექტივი. მართლაც ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის ვიყავით და საქართველოს დამოუკიდებლობის 90-იანების პირველი მძიმე წლები და შემდეგი წლებიც ერთად გადავიტანეთ.

**– თუ იყო ისეთი რამ, რაც ვერ აგისრულდათ ცხოვრებაში?**

– ოცნების ასრულებაზე არასოდეს არც მიფიქრია.

**– თქვენი აზრით, დადგება ის დრო, რომ ჩვენი ექიმები, რა თქმა უნდა, თქვენი ჩათვლით, რომლებიც დღეს „გაფანტულნი“ ხართ სხვადასხვა რაიონებში, დაბრუნდებით და მოემსახურებით რაიონის მოსახლეობას?**

– დღევანდელი მდგომარეობა რა-თქმა უნდა, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ექიმის პროფესია, მოგეხსენებათ, მუდმივ განათლებას, მუდმივ ჩართულობას მოითხოვს. და თუ აქ უბრალოდ არ არის შესაბამისი ხელშესაწყობი სამსახური... რასაც ჩვენ მივაღწიეთ, ადვილად ხომ არ მოვიდა, წლების თავდაუზოგავი შრომა იყო, ასე რომ...

ხომ იყო დრო, როდესაც მეზობელი რაიონების და ჩვენი რაიონის სამედიცინო სამსახურში არსებული მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა. ასე, რომ იმედი ვიქონიოთ და ვისურვოთ უკეთესი.

**– სამომავლოდ რას აპირებთ, როგორ შეიცვლება თქვენი სამუშაო გრაფიკი?**

– ბოლო რამოდენიმე წელია გურჯაანში, ახტალაზე სანატორიუმში „ოქროს ველი“ ვმუშაობ. სამსახური სეზონურია. სეზონის დასაწყისში ხდება ახალი კონტრაქტის დადება. ზუსტად არ ვიცი წელს როგორ იქნება. თუ ჩემზე იქნება დამოკიდებული, დიდად არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. ვნახოთ...

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის, ახალ 2024 წლის და ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდების მოლოცვისთვის. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას და ყველაფერს საუკეთესოს, ჩემს საქართველოს მშვიდობას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. .

გმადლობთ.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

# ეროვნული მოძრაობა ზურაბ ჭავჭავაძის არჩეული გზით რომ წარმართულიყო, ეთნოკომფლიქტებსაც ავიცილებდით და სხვა უბედურებასაც...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**ჭავჭავაძის დაბადებიდან 71 წელი შესრულდა. როდის გაიცანით და რა სახის ურთიერთობა ჩამოყალიბდა თქვენს შორის?**

– ზურაბ ჭავჭავაძე გავიცანი იმის შემდეგ, რაც პატიმრობიდან გამათავისუფლეს. იგი ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული და გაცნობისთანავე მის მიმათ ყველას კეთილგანწყობას იწვევდა. ჩვენს შორისაც მალე დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რაც მისი სიცოცხლის ტრაგიკულ აღსასრულამდე გაგრძელდა.

**– რომელ წელს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და ვინ იყვნენ დამფუძნებლები?**

– ილია ჭავჭავაძის სასაზოგადოება 1987 წლის დეკემბერში შეიქმნა. იმ დროისათვის უკვე ბევრი დისიდენტი გათავისუფლებული ვიყავით პატიმრობიდან. შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ორგანიზება გაუწია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი კრების ჩატარებას, რაც მოხდა კიდეც 1987 წლის დეკემბრის ბოლოს. ჯგუფში შედიოდნენ: გია ჭანტურია, თამარ ჩხეიძე, გურამ მამულია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, ციალა არდაშელია, ჯუმბერ კოპალიანი და სხვები.

**– ეროვნულიდამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში როგორ პოზიციაზე იდგა ზურაბ ჭავჭავაძე?**

– ზურაბ ჭავჭავაძე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას მალევე შემოუერთდა. ჭავჭავაძის საზოგადოება ჭავჭავაძის გარეშე როგორ შეიძლებაო – ვხუმრობდით.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, შექმნის პირველ ხანებში, შეხედულებათა სხვადასხვაობით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების წევრებს ერთი დიდი მიზანი ჰქონდათ – ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ ერთი ნაწილი რადიკალური ქმედებების მომხრე იყო, მეორე ნაწილი კი ზომიერ, მაგრამ პრინციპულ, მიზანდასახულ მოქმედებებს აძლევდა უპირატესობას.

შეხედულებათა ამ სხვადასხვაობის გამო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში მალევე მოხდა განხეთქილება და საზოგადოებიდან გავიდნენ გამგეობის წევრები – გია ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი.

მათ შეუერთდა ზვიად გამსახურდია.

მერაბ კოსტავა გათიშვის წინააღმდეგი იყო და ორივე მხარის წევრად დარჩა. საზოგადოების უმრავლესობაში დარჩნენ გამგეობის წევრები – გურამ მამულია, ციალა არდაშელია, ჯუმბერ კოპალიანი, მიხეილ ქურდიანი და სხვები.

ზურაბ ჭავჭავაძე ამავე ჯგუფში იყო და მალევე გახდა საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი. მე, პირადად, გამგეობას ცოტა ხნის შემდეგ შევუერთდი.

**– ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად რა სახის ღონისძიებებს ახორციელებდა ბატონი ზურაბი?**

– ეთნიკური კონფლიქტების მოგვარება, მით უფრო, თუ ის ინსპირირებულია გარეშე ძალების მიერ, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ იმ დამოკიდებულებითაა შესაძლებელი, როგორიც ზურაბ ჭავჭავაძეს ჰქონდა ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

ესაა საერთო ინტერესების, შეხების საერთო წერტილების გამონახვა ეთნიკურ უმცირესობებთან. ხოლო, იმ ძალების მიმართ, რომლებიც საქართველოში ეთნოკონფლიქტების ინსპირირებას ეწეოდნენ, მას ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება: „ჩვენ პოლიტიკაში ვმონაწილეობთ, და ჩვენი მოვალეობა ის კი არ არის, ვინც ჩვენ გვიყვარს, ვინც ჩვენ გულზე გვეხატება, იმასთან მივიდეთ და იმასთან მოვნახოთ საერთო ენა, ჩვენი მოვალეობა ისაა, საერთო ენა მოვნახოთ იმასთან, ვინც ჩვენდამი მტრულად არის განწყობილი. ეს არის ხელოვნებაც პოლიტიკური მოღვაწეობისა და აუცილებლობაც“. სწორედ ასეთი შეხედულებების საფუძველზე აწარმოებდა ზურაბ ჭავჭავაძე შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს როგორც აფხაზ, ისე ოს სეპარატისტებთან.

ზურაბთან ერთად რამდენჯერმე ვიყავი ცხინვალში და აფხაზეთში ჩასული. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა ოს სეპარატისტებთან ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ოს სეპარატისტთა არაფორმალური გაერთიანების „ადამონ ნიხასის“ ერთობლივი განცხადებით დამთავრდა, რომელიც გამოქვეყნდა იმდროინდელ ოფიციალურ პრესაში. საერთოდ, ოსი სეპარატისტები აღიარებდნენ, რომ სწორედ ზურაბ ჭავჭავაძე იყო ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი და სამართლიანი მოგვარება.

ასევე წარმატებული შეხვედრები ჰქონდა ზურაბს აფხაზ სეპარატისტებთანაც. ეროვნული მოძრაობა ზურაბ ჭავჭავაძის არჩეული გზით რომ წარმართულიყო, ეთნოკონფლიქტებსაც ავიცილებდით და სხვა უბედურებებსაც, რაც საქართველოს ამ 35 წლის განმავლობაში დაემართა.

**– ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა რატომ მოუწყეს ზურაბს „ღირსების სასამართლო“ და თქვენ თუ ესწრებოდით?**

– როდესაც ყოფილი პოლიტპატიმარი ზაქარია ლაშქარაშვილი ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა, ზვიად გამსახურდიამ მას სთხოვა, რომ მისი ინტერესები დაეცვა საზღვარგარეთ და მის მიერ მიწოდებული მასალები გადაეცა რადიო „თავისუფლებით“, რაზეც ლაშქარაშვილმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ზვიად გამსახურდია ხშირად ცილისმწამებლურ მასალებს აქვეყნებდა.

როგორც პარიზში ჩასულმა ლაშქარაშვილმა შეგვატყობინა, განაწყენებულ ზვიად გამსახურდიას პარიზში მისი ნაცნობებისთვის გადაუცია, რომ ზაქარია ლაშქარაშვილი სუკის აგენტია და არ ენდოთო.

როდესაც ეს ცნობილი გახდა ზურაბ ჭავჭავაძისთვის, მან ამ ფაქტის გამო წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც ამხილა ზვიად გამსახურდიას ეს უღირსი საქციელი. ზვიად გამსახურდიამ უარყო ის ფაქტი, რომ ზაქარია ლაშქარაშვილს სუკის აგენტი უწოდა. „ღირსების სასამართლო“ ამ საკითხის გასარჩევად შედგა. განხილვას მეც ვესწრებოდი. თუ როგორ წარიმართა „ღირსების სასამართლო“, ეს ყველასათვის ცნობილია გავრცელებული ვიდეოს წყალობით.

საერთოდ, ზვიად გამსახურდიასთვის დამახასიათებელი იყო სუკის აგენტობის დაბრალება ყველასთვის, ვინც თვალში არ მოუვიდოდა, ან რაიმეში შეეწინააღმდეგებოდა. ასე მოიქცა ლაშქარაშვილთან დაკავშირებითაც.

**– რაზე ვერ თანხმდებოდნენ ზვიად გამსახურდია და ზურაბ ჭავჭავაძე?**

– ამ ორ პიროვნებას შორის დიდი განსხვავება იყო პიროვნული თვისებების თვალსაზრისით. გამსახურდია ვერ იტანდა განსხვავებულ აზრს, შეკამათებას და რამდენადაც ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველაფერს აკეთებდა, იგი გზიდან იშორებდა ნებისმიერს, ვისაც ცოტა მაინც კონკურენტად ჩათვლიდა. ზურაბი ამ თვალსაზრისით ნამდვილი დემოკრატი იყო და მომავალი ეროვნული ხელისუფლების წამყვან ფიგურად მიიჩნეოდა. სწორედ ეს იწვევდა ზვიად გამსახურდიას გაღიზიანებას და ნებისმიერი საკითხი, რაც ნორმალურ ვითარებაში პოლიტიკოსთა შორის მსჯელობისა და განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო, მას ზურაბთან კონფლიქტურ დაპირისპირებაში გადაჰქონდა. ნიშანდობლივია ე. წ. „თურქი-მესხების“, ანუ მაჰმადიანი მესხების საკითხი. ზვიად გამსახურდიასა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი შეხედულება ჰქონდათ, კერძოდ, საქართველოში იმ მესხთა ჩამოსახლების მომხრეები იყვნენ, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ქართველობა, გვარი და ენა.

ეს პოზიცია ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა კიდეც გაზეთ „თბილისში“, მაგრამ ერთ კვირაში საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყო და ყველა მაჰმადიანი მესხი გამოაცხადა თურქად, ხოლო ზურაბ ჭავჭავაძეზე განაცხადა, რომ მას სურდა საქართველოში ჩამოესახლებინა „თურქთა ურდოები“.

ცხადია, ამით მან გაუთვითცნობიერებელ ადამიანებში „თურქი ურდოებისგან“ მხსნელად წარმოაჩინა თავი, ხოლო ზურაბ ჭავჭავაძისთვის ასეთი ყალბი ბრალდების წაყენებით ხალხის თვალში მისი სახელის გატეხას შეეცადა.

ასეთი რამ ხშირად ხდებოდა ეროვნული მოძრაობის სხვა პრობლემებთან დაკავშირებითაც.

მე, ზურაბთან ერთად მჭიდრო ურთიერთობა მქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან, რომელთა უმეტესობა პერმის პოლიტპატიმართა ბანაკში გავიცანი. ისინი საქართველოშიც იყვნენ ჩამოსულები და პირადად გაიცნეს ზურაბი. 1988 წლის 26 მაისი მაშინ ერთად ვიზეიმეთ.

1989 წლის ზაფხულში ვილნიუსში დიდი ანტისაბჭოთა მიტინგი იყო დანიშნული. ზურაბის ინიციატივით თბილისში ზუსტად ამ დროს ჩატარდა მაათი მხარდამჭერი ხალხმრავალი მიტინგიც. ამ დროს მეც ვილნიუსში გახლდით და პირდაპირ მიტინგზე მივაწოდე ამის შესახებ ინფორმაცია მიტინგის მონაწილეებს, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ზვიადს ბალტიისპირელებთან დაკავშირებითაც განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. მისი მტკიცებით ბალტიისპირელთა ეროვნული მოძრაობა არასწორი გზით მიდიოდა.

**– 9 აპრილის მოვლენებთან ზურაბის კავშირზე რას გვეტყვით?**

– მოვლენები, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიით დამთავრდა, სწორედ ზურაბ ჭავჭავაძის ინიციატივით დაიწყო 2 აპრილს აფხაზეთში, აფხაზეთის საკითხის მოგვარების მიზნით. აფხაზეთში დაწყებულმა აქციებმა თბილისში, მთავრობის სახლის წინ გადმოინაცვლა და პირველ დღეს, 4 აპრილს, მიტინგი ზურაბის ხელმძღვანელობით გაგრძელდა. მაგრამ ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმმა (გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები) 6 აპრილს მიტინგი დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაზარდეს, რაც იმ დროისათვის სრულიად არარეალური და პოპულისტური იყო, რადგან ჯერ აუცილებელი იყო აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, რათა ამ საკითხს ხელი არ შეეშალა რეალური დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. აფხაზეთის საკითხზე დაწყებული მიტინგის ასეთმა სახეცვლილებამ და მისმა ტრაგიკულმა ფინალმა იმპერიული ძალების წისქვილზე დაასხა წყალი. მიუხედავად ზვიადის მხრიდან ასეთი საქციელისა, ზურაბი ბოლომდე მიტინგზე იდგა და ბევრის სიცოცხლეც გადაარჩინა მერაბ კოსტავასთან ერთად.

**– არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია როგორ მოიძია ზურაბმა?**

– არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ პოლონური ბროშურა თავდაპირველად უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გადასცა. ზურაბმა თავად თარგმნა, დაინტერესდა წმინდა მამის ცხოვრებით და პოლონეთში გაემგზავრა. საკმაოდ დიდი მასალა ჩამოიტანა გრიგოლ ფერაძის შესახებ და გადასცა ბატონ რეზო თაბუკაშვილს.

**– ზურაბის და ნიკო ჭავჭავაძის მამაშვილურ ურთიერთობაზე რას გვეტყვით?**

– ნიკო ჭავჭავაძე ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი იყო და თავისუფალი, დისიდენტური აზროვნებით გამოირჩეოდა საბჭოთა ფილოსოფიურ წრეებში. შვილიც, რა თქმა უნდა, ასეთად აღზარდა. მათ სრულად ესმოდათ ერთმანეთის და ამაყობდნენ კიდევაც ერთმანეთით, თუმცა ზოგჯერ კამათობდნენ კიდეც ეროვნული მოძრაობის ტაქტიკურ საკითხებზე.

**– შვილის გარდაცვალების შემდეგ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ნიკო ჭავჭავაძე?**

– ნიკო ჭავჭავაძე გაუტეხელი პიროვნება იყო და ამ უდიდეს დარტყმასაც ღირსეულად გაუძლო. სიამაყით ამბობდა ხოლმე: ადრე ზურაბზე ამბობდნენ, რომ ჩემი შვილი იყო, ახლა კი ჩემზე ამბობენ, რომ მისი მამა ვარო.

**– თქვენ მერაბ კოსტავასთან მოგიწიათ რეპრესირებულთა ციხეში ყოფნა. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ზურაბ ჭავჭავაძე და მერაბ კოსტავა რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ?**

– ზურაბ ჭავჭავაძის უდიდესი პოლიტიკური გამჭრიახობისა და მერაბ კოსტავას უდიდესი ავტორიტეტის წყალობით დღეს საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა იქნებოდა.

არ მოხდებოდა „თბილისის ომი“ და ეთნოკონფლიქტები გადაიჭრებოდა მშვიდობიანად. ესე იგი, ყველაფერი კარგად იქნებოდა!

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# 5 თებერვალი ზურაბ ჭავჭავაძის დაბადების დღეა

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია – ყოვლად უცილობელი, უღალატო და სასტიკი. ჩვენ მას ვეჩვევით არა მხოლოდ ჩვენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, არამედ გენეტიკურადაც, ვინაიდან მისი კოდი თვით ადამიანური ყოფის არსშივეა ჩადებული.

ჩვენმა გონებამ ეს იცის, მაგრამ მაინც სიკვდილის ყოველ მოვლინებას აღვიქვამთ როგორც მოულოდნელსა და თავზარდამცემ ტრაგედიას. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანს გონებასთან ერთად აქვს გულიც, რომელიც ვერ ეგუება სიკვდილის სასტიკ კანონზომიერებას.

ღვთის განგებით არიან ადამიანები, რომელნიც ერის ცხოვრებაში წარუშლელ კვალს ტოვებენ. ასეთი გახლდათ ჩვენი ზურაბ ჭავჭავაძე – ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, საქართველოს ეროვნული გმირი.

თითქმის ყველა კაცი თავის თავს უკვდება, ზურაბ ჭავჭავაძე ყველას მოუკვდა, საქართველოს მოუკვდა. იგი თითოეულ ჩვენთაგანს, მთელ საქართველოს დააკლდა, და არა მარტო თავის უკეთილშობილეს ოჯახს. ჩვენს ეროვნულ სხეულს გამოეცალა ვაჟკაცობისა და კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და მაღალი ზნეობის, მამულიშვილობის, რწმენისა და იმედის ერთ-ერთი მტკიცე ბურჯი.

სულით ხორცამდე ქართველმა რაინდმა, დიდი ეროვნული ტვირთი ზიდა, ზიდა კაცურად, პატიოსნად და ნამუსიანად, მისთვის ჩვეული რუდუნებითა და ძალისხმევით, მშობელი ხალხის ყველა სანიმუშო თვისებით უხვად შემკობილი, სადაც უნდა ყოფილიყო – შეუპოვრად იბრძოდა ქართული საქმისთვის.

სამაგალითო ეროვნლი პასუხისმგებლობის გრძნობა სულ უფრო მეტს თხოვდა მას, თავს არ აზოგვინებდა, დღენიადაგ იღვწოდა, რათა საქმედ ექცია სულმნათი ილიას დანაბარები – „მამული, ენა და სარწმუნოება“.

ზურაბს ურთულეს დროში, უნდობლობის ატმოსფეროში უხდებოდა მოღვაწეობა. იგი უმადურებს მადლიერების გრძნობას უნერგავდა. დიდი სულიერი და ფიზიკური ენერგიის დახარჯვა უწევდა, რამდენ შეუვალ ადამიანს შეხვედრია თავის საქმიანობაში, მაგრამ უხეშად კი არ დაპირისპირებია, არამედ დიდი მოთმინებით და ტოლერანტული სიდინჯით.

ჩვენთვის ზურაბ ჭავჭავაძე თავისი ეროვნული რაობით და მოღვაწეობით განსახიერება და ცხოველი ხატია საქართველოს სვე-ბედით შეძრულისა, მისი მოზარისა. ზურაბის ხალასი ნიჭი, ძლიერი ინტელექტი და დაუცხრომელი ენერგია ხალხს ემსახურა. ის განგების, ბედის რჩეული იყო სამშობლოს სიყვარულში. ის იყო დიდი ილიას ღირსეული სულიერი ძე და მემკვიდრე.

ზურაბ ჭავჭავაძე სიყრმიდანვე ჩადგა ქართველი ერის სამსახურში და სიცოცხლის ბოლომდე არ გადაუხვევია ამ გზიდან. დღეს, ჩვენი ერის ძნელბედობის ჟამს, როცა წყდება ჩვენი მომავალი, როცა ყოველი დღე გვაახლოებს ნანატრ ოცნებას, ის ჩვენს შორის აღარ არის. ზურაბი კი ასე საჭირო იყო ჩვენი დიდი საერთო საქმისათვის. დღეს ჩვენს ახალგაზდობას სჭირდება მისი გამამხნევებელი, სანდო სიტყვა. მას ერის მაჯისცემის ზუსტი ალღო ჰქონდა და შეეძლო საქართველოს მომავლის საკეთილდღეოდ დაემოძღვრა ჩვენი ახალგაზრდობა.

ქართველ საზოგადოებას, და არა მარტო ქართველს, ძალიან დააკლდა ზურაბ ჭავჭავაძე – ერის სატკივრით შეჭირვებული, მუდამ მაძიებელი, სამოქმედოდ შემართული რაინდი. ძალიან დააკლდა ზურაბის აწონილი სიტყვა, ყურადღება, გულისხმიერება, ადამიანური სითბო, იმედი. იგი შეურიგებელი იყო ერის სასიცოცხლო ინტერესების და ღირსების შემლახველი მოვლენებისადმი, ამასთან დიდი მეგობარი და მხარში მდგომი ყველა იმისა, ვინც და რაც ქართველ ერს სიკეთეს მოუტანდა.

ზურაბ ჭავჭავაძე საქართველოს სიყვარულში დაიფერფლა, ყველაფერი სამშობლოს მიუძღვნა და ამაში პოულობდა უდიდეს ბედნიერებას. წავიდა, როცა თავის საქართველოს სჭირდებოდა როგორც არასდროს. წარმოუდგენელია საქართველოში ადამიანი, რომელმაც არ განიცადა ზურაბის გარდაცვალება და არ დაიტირა თავისი საამაყო შვილი.

ზურაბი მხოლოდ ფიზიკურად დაშორდა საქართველოს. მაგრამ მან ჩვენ დაგვიტოვა კაცურკაცობითა და მამულიშვილობით, სიკეთითა და სიყვარულით, მართალი სიტყვითა და საქმით ანთებული ეროვნული სანთელი, რომელიც საუკეთესო მაგალითად გამოადგება შთამომავლობას, ჩვენს ჯიშსა და მოდგმას.

ზურაბ ჭავჭავაძემ თავისი მისაბაძი ცხოვრებით და მოღვაწეობით სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართველი ერის ხსოვნასა და საქართველოს ისტორიაში.

ჩვენთან არს ღმერთი!

**ოთარ დავითაშვილი**
**ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი**

# ... მერე უეცრად, როგორც მეთევზის ანკესს, ისე წამოვაგეზ ჩემ ფიქრს ერთ სიტყვას და...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე



დავწყვიტე საკუთარი კომპანიის გახსნა. 2013 წელს გავხსენი ჩემი საკუთარი სატრანსპორტო კომპანია და დღემდე ვანხორციელებ საერთაშორისო გადაზიდვებს სხვადასხვა ქვეყნიდან, გვყავს საკუთარი სატვირთო ტრაილერები და ვასაქმებთ ათიოდეოდე თანამშრომელს ჩვენს კომპანიაში.

ოჯახურ მდგომარეობას რაც შეეხება, მყავს მეუღლე და 2 ქალიშვილი.

**– როდის დაიწყე ლექსების წერა?**

– ცოტა რთულია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, რადგან ასე კონკრეტულად არ მახსოვს როდის დავიწყე ლექსების წერა. თუმცა ფაქტია რომ ადრეული ბავშვობიდან მქონდა ამის პოტენციალი, ჩემს მამიდაშვილებთან თამაშის დროსაც კი ვთხზავდი რაღაც ამბებს და რითმაში ჩასმას ვცდილობდი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბავშვურად, სრულიად გაუთვითცნობიერებლად ხდებოდა. შემდეგ როდესაც წამოვიზარდე, მასწავლებელმა მარინა ზურაშვილმა შეამჩნია რომ თავისუფალი თემების წერა კარგად გამომდიოდა, მე ძალიან ვემადლიერები მას, რადგან თითქმის ყოველ კვირა გვაძლევდა დასაწერად თავისუფალ თემებს და თავისუფალი თემა კი მოგეხსენებათ, რამდენად ანვითარებს ბავშვის გონებას და უბიძგებს მას საკუთარი აზრის მეტად გაბედულად გამოხატვაში და ხელს უწყობს ინდივიდუალურ და ზოგჯერ კრეატიულ იდეებს ჩაუყაროს საფუძველი.

მე დღეის გადმოსახედიდან თამამად შემიძლია განვაცხადო რომ ჩემმა ქართულის მასწავლებელმა ჯერ მარინა ზურაშვილმა და შემდგომ ეთერ ხარებაშვილმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს შემოქმედებით განვითარებაში.

ასევე, არ მინდა დავუკარგო ღვაწლი ქალბატონ ზეინაბ ჭიჭიკოშვილს, რომელიც ჩემი სულიერი განვითარების გზამკვლევი იყო.

მახსოვს ასეთი შემთხვევაც: კლასში უნდა დაგვეწერა თავისუფალი თემა სახელწოდებით: „ქვა ქვაა, მაგრამ თურმე გული აქვს მასაც“.

მე რატომღაც თავისუფალი თემის ნაცვლად იქვე ექსპრომტად პაწაწინა ლექსი შევქმენი, ამ გადმოსახედიდან რათქმაუნდა ძალიან პრიმიტიული და ბავშვური, მაგრამ მეც ხომ თავად ბავშვი ვიყავი და ალბათ მეტი იმ ეტაპზე არც მომეთხოვებოდა:

მდინარის პირა ფერდობზე,
ვნახე პატარა ქვა.
ქვა იყო-სხვა არაფერი,
მაგრამ რაღაცა თქვა.
ვიფიქრე, ხომ არ მომესმა,
ეს უცნაური ხმა,
მაგრამ ქვა იყო, ვფიცავარ,
პატარა ქვაში ქვა.
ის იყო, დიახ ის იყო,
რა იქნებოდა სხვა?
მაშინ ვიფიქრე, იქნება
ქვასაც აქვს გულისთქმა.

და სწორედ, აი ამ მომენტში გავიაზრე, რომ მაქვს პოტენციალი ლექსის წერის, თუმცა არა ამბიცია, ამბიცია იმისა როგორც ასეთი რომ მე ვარ პოეტი დღესაც არ გამაჩნია, რადგან ჩემი აზრით ეს სტატუსი არც ისე იოლი მოსაპოვებელია. თუმცა, წლები ისე გადიოდა, რომ იმის გამბედაობაც კი არ მყოფნიდა უბრალოდ გამესაჯაროვებინა ჩემი მოკრძალებული შემოქმედება. პანდემიის პერიოდში გადავედით ონლაინ მუშაობაზე და რადგან სახლიდან კომპიუტერის დახმარებით ავანყვეთ მუშაობა, ვეღარ დავინახე თბილისში ყოფნის საჭიროება და გადმოვედით ყვარელში. ყვარელში ისედაც ყოველ ზაფხულს ჩამოვდივართ, მაგრამ ყოველდღიურად გახსენებამ თითქოს თავიდან გააღვიძა ჩემში პოეტური სული და გადავწყვიტე ინტერნეტ სივრცეში გამესაჯაროვებინა ჩემი ლექსი ყვარელზე.

### ყვარელი

აყვავებული ცაცხვის ხეივანს
მე მივუყვები გზით სიყვარულით,
და როგორც გავლა კუტს და ხეიბარს,
მომწყურებია ისე ყვარელი.
მთელი სხეულით შევიგრძნობ სურნელს,
ნაცნობ ქუჩების მშობლიურ მხარის.
აქ ერთი მზე გვწვავს ბრძენსა თუ სულელს,
აქ ერთი შუქი გვეცემა მთვარის.
აქ ყველა შუკა, ყველა საურმე,
ჩემი ბავშვობის კადრებს ინახავს,
ყველაზე ტკბილი ყოფილა თურმე,
სად არ მივლია... რა არ მინახავს.
ვემთხვევი კრძალვით შენს წმინდა მიწას,
და ხოტბას გასხავ შენ საყვარელო,
სულ მეყვარები, მებრძვი თუ მიცავ,
უძვირფასესო ჩემო ყვარელო!!!

ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ამ ზემოდხსენებულ ლექსს, რამაც მეტი სითამამე შემმინა და გამაბედინა ჩემი მორიგი ლექსების გასაჯაროება. აი ასე ნელ-ნელა გამიცნო საზოგადოებამ, რომლის ძალიან მადლიერი ვარ, რადგან ჩემმა მკითხველმა მომცა სტიმული და წამახალისა საიმისოდ, რომ უფრო მეტი და საზოგადოებისთვის უფრო საინტერესო ყოფით თუ რომანტიულ თემებზე შემექმნა ახალი ნაწარმოებები.

ლექსი რათქმაუნდა ბევრი იწერება, მაგრამ მკითხველის მოწონებას ყველა ლექსი ერთნაირად როდი იმსახურებს.

საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ლექსს „სხვისი ცოლი“ ასევე „პაემანი“ „ამაოების ბაზრობა“ და სხვა.

### სხვისი ცოლი

დაახლოებით გავიდა ორი,
ან ოდნავ მეტი წელი გავიდა,
რაც მოიყვანე შენ სახლში ცოლი,
თუმც აღარ მოგწონს, როგორც თავიდან.
შემოხედვისას აღარც თავს კარგავ,
არც ჭკუიდან გშლის ღიმილი მისი
და თუკი დაუფიქრდები კარგად,
ხვდები რომ გხიბლავს შენ ქალი სხვისი.
იმ სხვისას უფრო ნაზი აქვს ტანი,
თითქოს სუსტიც და მეტად მოვლილიც.
ხოლო კანი კი – ო, მისი კანი...
ხავერდოვანი-თეთრი ბროლივით.
ის სხვისა ისე მოხდენით იცმევს,
შენსას რომ არცკი დაესიზმრება,
თან ისე ვნებით-მაცდურად გიმზერს,
გსურს სურვილები გექცეს მიზნებად.
იმ ქალის თმაში ბობოქრობს ქარი,
შენსას-ნიავი არ უტოკს ღერსაც.
და იმ სხვა ქალზე ფიქრებით მთვრალი,
ღამეს ასწორებ-ასწორებ დღესაც...
იმის თვალებში ჭინკები ხტიან,
შენი ცოლისას აღარ აქვს მუხტი,
იმის მუხლები ხომ ცუდად გხდიან
შენსას,... კაბაში არ უჩანს მუხლი.
მაგრამ შეპყრობილს შენ უცხო ხილით,
გამოგრჩა... სხვაშიც, რომ ვნება სახლობს
და ასეთივე აწყვეტილ ჟინით,
რომ ის სხვა შენს ცოლს გიჟივით ნატრობს.

### პაემანი

თვალებით ეძებ სანატრელ კონტურს,
აი – მონატრებულ აჩრდილსაც ლანდავ,
საგულდაგულოდ მისთვისვე მორთულს,
მსწრაფლ გავიწყდება მთელი დღის დაღლა.
ვიდრე გარეთ ხართ – არ ხარჯავ სიტყვებს,
გულში შეჰხარი ამ შედეგს მოცდის,
მოწოლილ გრძნობებს ბოლომდე ითმენ
და მის სილუეტს თვალებით კოცნი.
მერე გააღებთ ოთახის კარებს,
სულ არ გჭირდებათ ანთება შუქის
და შენი ქვეცნობიერი მხარე,
მხოლოდ კარების მოხურვას უცდის.
ტუჩები თვითონ პოულობს ტუჩებს,
თითებიც თავად დაცურავს თმაში
და ემოციებს მოწოლის უშრეტს,
ბოლომდე ავლენ მოგუდულ ხმაში.
მკლავები მისი – ფერფლივით ჩაგშლის,
მოგსდევს – თუმც ვეღარ გეწევა აზრი,
აგაწყობს და კვლავ ათასჯერ დაგშლის,
რომ გაზიაროს რაღაც წრფელს – ამ გზით.
რომ აღგაგზეოს ზეცაზე მაღლა...
აგამზეუროს ხმალივით მზეში,
რომ შესძლო ბოლო ცრემლამდე დაღვრა
და კიდევ ერთხელ ჩააკვდე ხელში...!

### ამაოების ბაზრობა

ბედნიერების ძებნით გადაღლილს,
შემომხვდა ერთხელ ბოშათა ბაზრობა
იმ ბაზრობაზე რასაც წავაწყდი,
მინდა მოგიყვეთ ეგ უაზრობა.
იქ დაინახავ ძალიან უცხოს...
ფრიად უცნაურ ათას საქონელს.
თავად ცხოვრება იქ ხალხს ხელს უწყობს
და ყოველ დახლთან დიდხანს აყოვნებს.



ზოგ რამეს შესძლებ იყიდო ფულით,
ზოგის სანაცვლოდ სხვა რამეს გთხოვენ
და თუკი გინდა რაიმე გულით,
გიცვლიან სხვა რამ ძვირფასში.
– სთხოვე...
თუ მაგალითად ულევ სიმდიდრეს
და აურაცხელ ქონებას ეძებ,
აი, ბოშასთან უნდა მიხვიდე
და გადაგიცვლის სინდისში დღესვე.
კეთილ სიტყვათა მარაგს თუ ეძებ,
არც მისი პოვნა გაგიჭირდება,
აგერ იმ ბოშამ გადადო გვერდზე,
რადგანაც თითქმის არვის სჭირდება.
პატიოსნებაც ჩაუწვათ დახლში,
მყიდველი ვერა – ვერ მიიტყუეს,
ეზიდებიან ტონობით სახლში,
უსინდისობას და ურცხვ სიცრუეს.
რკინის ნერვების მყიდველთა რიგი,
ზოლებად გასდევს პატარა ჯიხურს
– მე ამ საქონელს ბითუმად ვყიდი. .
ყვირის ნოქარი და გიმზერს ჯიქურ.
თან გამოუკრავს აბრა ლოზუნგად,
ცხვირზე აფარებს მასთან მოსულ კაცს:
„რომ გაუმკლავდე ცხოვრებას ბითურს,
ეს საქონელი იყიდე ბითუმ“.
გამოტოვებით ორიოდ კარვის,
ჰყიდს მოთმინებას ფაშფაშა ბოშა...
– მობრძანდით – არ გაწყენინებთ არვის
და თითო კოლბას მოგყიდით გროშად.
იქვე, მახლობლად პატარა ბიჭი,
ვიდრე მშობლები კარავს გაშლიან,
დახლთან დამდგარა – სიყვარულს ჰყიდის,
მაგრამ სიყვარულს ვადა გასვლია.
წარმატებას კი ფასი აქვს დიდი,
მას ვერ შესწვდება კაცი მოკვდავი.
ადრე თუ ნიჭში – შრომაში ცვლიდი,
ეგ აღარ ჰყოფნით – გინდა მოკალი.
სამაგიეროდ დახლებს და რიგებს,
აუდ – ჩაუდის კაცი უსახო.
ღვარძლს და სიძულვილს ხალხში არიგებს
განა იაფად? – სულმთლად უფასოდ...
შურის დახლებმა თუკი მოგნუსხა
და გადაწყვიტე შენ მისი ყიდვა,
სულ უსასყიდლოდ ანუ ბონუსად,
მას აყოლებენ ღვარძლიან სიტყვას.
კეთილდღეობის დახლებთან სანამ,
ბრბო ირეოდა – მე დრო ვიხელთე,
სულ მუქთად ხელში ჩავიგდე თანაც,
უიმედობის ზღვა და სიკეთე.
ბედნიერების საყიდლად მოსულს,
მსურდა ამეღო მე ერთი შეკვრა,
რიგი დაუთმე გოგონას ორსულს,
ის კი გათავდა – მე აღარ შემხვდა.
ამაოების ბაზარში ყოფნით,
გაოგნებული – მოხრილი წელში,
ისევ ჩემს ნამდვილ ყოფაში მოვხვდი,
რწმენის გარეშე, სიკეთით ხელში.

საზოგადოების აქტიურმა მოწონებამ და დადებითმა გამოხმაურებამ ყოველკვირეულ ჟურნალ „გზას“ – აც გააცნო ჩემი შემოქმედება. მათ გადაწყვიტეს გაესაჯაროვებინათ ჩემი პოეზია და ერთი კვირს წინ შედგა ჩემი დებიუტი ამ ჟურნალში, რის გამოც მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო მადლიერება და დიდი პატივისცემა ჟურნალ გზის რედაქციის მიმართ, ჩემი მოკრძალებული შემოქმედების დაფასებისთვის.

**– რას გრძნობ, როდესაც წერ?**

– წერის პროცესი ჩემთვის არის ერთგვარ „ექსტაზში“ ყოფნა. ეს მდგომარეობა რათქმაუნდა შეიძლება ყოველდღე არ გეუფლებოდეს, მეტსაც ვიტყვი: არის პერიოდი როდესაც სრული სიცარიელე სუფევს და ეს სიცარიელე შეიძლება თვეობითაც გაგრძელდეს, მაგრამ არის პერიოდი როდესაც შეიძლება განუწყვეტელ შემოქმედებით წვაში იყო და ეს დღეების-კვირების მანძილზე გრძელდებოდეს.

არ არის საჭირო, რაიმე განსაკუთრებული მოვლენა ან ფაქტი იმისთვის, რომ წერა წამოვიწყო. შეიძლება შუაღამისას გამომეღვიძოს და უეცრად „გასხივოსნების მაგვარი“ რამ დამემართოს, ამიტომ საწერ-კალამი სულ თავთან მიდევს. ბევრჯერ ყოფილა ოჯახის წევრების გაღვიძების მომრიდებია,სინათლის ანთების გარეშე ბნელში, ხელის ცეცებით მიპოვია ფურცელი და კალამი და ალალ – ბედზე, ინტუიციის ხარჯზე მიწერია. დილით გაღვიძებულს კი ერთმანეთში გახლართული წინადადებებიდან თავიდან გამომიტანია აზრი და ლექსად მიქცევია. მაგრამ ვერც იმას ვიტყვი გადაჭრით, რომ ყველა ჩემი ლექსი ასე მოულოდნელი თავზე დატყდომით იქმნება. არის მომენტები, როდესაც ფიქრი დასტრიალებს ერთ კონკრეტულ თემას, თუმცა დიდხანს ვერ გამოდის ლექსის აწყობა. დავდივარ, ვფიქრობ, რაღაცა დოზით ვიტანჯები კიდეც, რადგან ბაგეს მომდგარ სათქმელს ვერა და ვერ ვუყრი თავს. მერე უეცრად, როგორც მეთევზის ანკესს, ისე წამოვაგებ ჩემს ფიქრს რომელიმე ერთ სიტყვას და ამ სიტყვას უცბად მთლიანი ლექსიც მოჰყვება.

**– რას ნიშნავს პოეზია შენთვის?**

– პოეზია ჩემი სულის საზრდოა – შეიძლება ითქვას სულის საკვები. ადამიანს ფიზიკური შიმშილის დასაკმაყოფილებლად ხომ სჭირდება საკვების მიღება? დაახლოებით ამგვარ საჭიროებას ვგძნობ მეც პოეზიისადმი, ჩემი სულიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. ხშირად, იმის გამო რომ პროზა გრძელია და მეტი დრო სჭირდება წასაკითხად,სულს ესაჭიროება რაღაც სწრაფმოქმედი გამაყუჩებელი. ამგვარია ჩემი ხედვა პოეზიისადმი, სწრაფი-ძარღვებში გამავალი ძაბვა, მოკლე და მძლავრი, რომელიც ან გიშველის ან საბოლოოდ გაგანადგურებს.

ზოგადად, მეოთხე კლასიდან დავიწყე კითხვა. ჩემი მამიდა ქეთევან ბაიდოშვილი მუშაობდა და დღემდე მუშაობს ქალაქ ყვარლის საჯარო ბიბლიოთეკაში. იგი ფრიად განათლებული და წიგნიერი ადამიანია. მისი წყალობით, ჩვენ – მე და ჩემი მამიდაშვილები საკმაოდ ადრეული ასაკიდან დავეუფლეთ წიგნის სამყაროს, შევიყვარეთ და შევისისხლხორცეთ. მოგვქონდა წიგნები სახლში, დავდიოდით ბიბლიოთეკაში, ერთი სიტყვით სრულიად გარემოცულნი წიგნების უჩვეულო სამყაროთი, ამავე წიგნებიდან ვსწავლობდით ცხოვრებას.

პოეზია მამიდასაც უაღრესად უყვარს და ძალიან ბევრი ლექსი, რომელიც ჩემი საყვარელი ლექსების რიცხვს მიეკუთვნება,თავდაპირველად მისი მითითებით წავიკითხე.

**– ძირითადი მოტივი შენი ლექსების?**

– ჩემს შემოქმედებაში ალბად სჭარბობს უფრო რომანტიული მოტივის პოეზია,თუმცა არის ბევრი ისეთი ლექსი რომელიც ყოფით თემებსაც ეხება, როგორიცაა მაგალითად: პოეზიის ენით გამოთქმული კაცობრიობის მარადიული საფიქრალი და სატკივარი, ამ წუთისოფლის ამაოების ყოფნა – არყოფნის თემაზე წამოჭრილი საკითხები. მახსოვს, ჩემმა ერთ ერთმა ერთგულმა მკითხველმა შემდეგი სიტყვებით შეაფასა ლექსი „ამაოების ბაზრობა“. ვციტირებ: „ამ ლექსში ადამიანური წუთისოფლის პანოა დახატული, რენესანსის ეპოქის მხატვრების მიერ ბიბლიური ცხოვრების ეპიზოდების მსგავსად, რაც ამგვარი მაშტაბური თემისთვის პოეტური ჭურჭლის გამოძერწვისა და განთავსების ნიჭზე მეტყველებს“. ლექსს კი „სხვისი ცოლი“, რომლმაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ზემოთაც ავღნიშნე, აფასებდნენ შემდეგი სიტყვებით: „პოეტურ ყალიბში ჩამოსხმული ფსიქოლოგიური დრამა, რაც რამდენადაც რეალურია – იმდენადაც საინტერესო... „ამგვარად, ჩემი შემოქმედება ამ კუთხით შეიძლება ითქვას მრავალწახნაგოვანია, რადგან მხოლოდ ერთ ჟანრში და ერთ თემაზე არ მიწევს საუბარი.

**– საყვარელი პოეტი თუ გყავს?**

– მოდით, სანამ საყვარელ პოეტებზე დავიწყებდე საუბარს, „პოეზიის მეფე“ განვაზოგადოთ. ანუ ის, იმდენად არაამქვეყნიურად ბუმბერაზი პიროვნება იყო, რომ სიტყვა „მიყვარს“ ძალიან უსუსურად მიმაჩნია მისადმი აღფრთოვანების გამოსახატად. ამიტომ, ვისაუბრებ „ამა ქვეყნის პოეტებზე“ და მათ პოეზიაზე.

ასე ხელაღებით ვერ ვიტყვი, გამოვარჩევ თუ არა რომელიმე პოეტს განსაკუთრებით. ჩვენ ძალიან ბევრი ნიჭიერი პოეტი და სიტყვის ოსტატი გვყავს. ყველა მათგანს თავის შემოქმედებაში რაღაც „მისეული“ აქვს ჩადებული, რაც განასხვავებს და ამ კუთხით განსაკუთრებულს ხდის მის პოეზიას. მე ვიტყოდი რომ ცალკე პოეტის კი არა, უფრო კონკრეტული ლექსების გამორჩევა თუ შეიძლება. ჩემთვის უამრავი ისეთი საყვარელი ლექსი არსებობს, როგორიცაა მაგალითად ოთარ ჭილაძის „სექტემბერი“, ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“ და „ღამე ივერიისა“, გრიშაშვილის „ტრიოლეტები შაითან ბაზარში“, ლადოს „ფიროსმანის მეგობრებთან“, ნონეშვილის „საუბარი ნაძვებთან“ და კიდევ უამრავი, რომელთა ჩამოთვლას ალბათ დილამდე ვერ შევძლებ, რადგან უდავოდ ბევრია და ჭეშმარიტად ყველა თავისი ინდივიდუალობით უნიკალური.

**– თანამედროვე ლიტერატურაზე და პოეზიაზე რას იტყვით?**

– მე ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს ნამდვილად ჰყავს ნიჭიერი პოეტები და მწერლები. ჩემის აზრით ქართული პოეზია და პროზაც საერთოდ ახალ საფეხურზე ადის. უბრალოდ ამის შეფასებას ვგონებ დასჭირდება რამოდენიმე ათეული წელი. არ გამიკვირდება თუკი მომავალში, როდესაც შვილიშვილები მეყოლება, მათ სასკოლო პროგრამაში რჩეული თანამედროვე პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებებს თუ შეიტანენ.

**– წარმატებებს გისურვებთ!**

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# გამოსათხოვარი



## ალიმან ლაფაჩიშვილი

კიდევ ერთმა ღირსეულმა პიროვნებამ დატოვა საწუთრო. დაუჯერებელია წარმოდგენა იმისაც კი, რომ ჩვენს რიგებში აღარ არის ენერგიით აღსავსე, კაჟივით ჯანმრთელი, სამშობლოს უსაზღვროდ დიდი პატრიოტი, კარგი მეოჯახე და მეგობარი ალიმან ლაფაჩიშვილი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვა ამ ქვეყანაზე.

82 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი პიროვნება, უაღრესად განათლებული, ღრმად ერუდირებული, შემოქმედებითი ნიჭით აღსავსე, თანამედროვეობის უზადო მოაზროვნე და კალმოსანი ჩვენი ალიმანი. ადამიანი, რომელიც სულით ხორცამდე იყო გაჯერებული ხვალინდელი დღის იმედით, უკეთესი მომავლის რწმენით, რასაც მისი ოჯახური ბედნიერება, შვილებში და შვილიშვილებში გახარება უნდა უზრუნველეყო. სწორედ ამ რწმენაში გაატარა მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. როგორი გაჭირვება და რანაირი ხელმოკლეობა არ გადაუტანია მას, მაგრამ არასოდეს უღალატია თავისი მრწამსისთვის, ერთი უკადრისი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ალიმანი სპეტაკი სულის, უანგარო და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი იყო, რომელთა ბადალნიც ერთეულებიღა თუ დადიან ამ ქვეყანაზე.

ალიმან ლაფაჩიშვილი 1942 წლის 5 იანვარს დაიბადა შილდელებისათვის საყვარელი პედაგოგის მანია ლაფაჩიშვილის ოჯახში, საიდანაც გამოჰყვა მას კეთილსინდისიერების, შრომისმოყვარეობის, ადამიანებისა და საქმისადმი უღალატო დამოკიდებულებების უდიდესი მადლი. ამ თვისებათა წყალობით განვლო მან თავისი საწუთროს გზა-სავალი ნამუსიანად.



ჭეშმარიად სამაგალითო ცხოვრების გზა გაიარა ბატონმა ალიმანმა. 1959 წელს დაამთავრა შილდის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. შემდგომ წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავდა 1972 წელს წარჩინებით.

1968 წლის მარტიდან მუშაობას იწყებს ენისლის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად, ხოლო 1969 წლის მაისიდან გადაიყვანეს კომკავშირის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

სამოცდაათიან წლებში ალიმანის ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რაიონის ხელმძღვანლობას და პარტიის რაიკომში მიიწვიეს სამუშაოდ. რაიკომის პირველ მდივანს, გივი ზაუტაშვილს შეუმჩნეველი არ დარჩა ალიმანის ნიჭიერება და რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგის თანამდებობაზე გადაიყვანა, შემდგომ რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ აწინაურებენ. მისი დამსახურებაა, რომ რაიკომის საქმიანობაში შეიცვალა ტრადიციული წერის სტილი ახალი აზროვნებით, იმართებოდა საინტერესო ღონისძიებები.

ალიმანი თავისი განათლების დონით, უნარ-ჩვევებით კიდევ უფრო მაღალ მწვერვალებზე ავიდოდა, რომ არა მიტანილ ენებზე რაიკომის მდივნის მცდარი გადაწყვეტილება და მისი რაიკომიდან გაშვება.

1974 წელს ალიმანი პარტიის ყვარლის რაიკომის ბიუროს დადგენილებით დაინიშნა ყვარლის რაიკავშირის თავმჯდომარედ, სადაც დახვდა განუკითხაობა და ქაოსი. ალიმანმა ურთულესი პრობლემები წარმატებით დაძლია და ყვარლის რაიკავშირი მოწინავე პოზიციაზე გაიყვანა საქართველოს მასშტაბით. თუმცა, პრობლემები ადვილი დასაძლევი როდი იყო. ეს გახლდათ მრავალი უძილო ღამის, საკუთარ თავთან ჭიდილის, ზოგიერთ ფასეულობათა გადაფასების, სიახლეებისკენ დაუოკებელი სწრაფვის და ასჯერ გაზომილის ერთხელ გადაჭრის ურთულესი პროცესი.

ალიმანს ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი ცხოვრება გაეუმჯობესებინა, მაგრამ მან უმწიკვლოდ დაამთავრა ვაჭრობის სფეროში მოღვაწეობა და არჩია მას დროულად გასცლოდა. 1983-85 წლებში მუშაობდა თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აგროსამრეწველო გაერთიანებაში. ბოლო წლებში მუშაობდა ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივნად.

ალიმანმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სპორტს მიუძღვნა და უდიდესი წვლილი მიუძღვის სპორტის ულამაზესი სახეობის ფრენბურთის განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფრენბურთელის სიმაღლის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა, შესანიშნავად თამაშობდა და ყვარლის რაიონის ნაკრებში გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა. მისი თაოსნობითა და ორგანიზებით ყვარლის რაიონის ნაკრებმა მრავალგზის გვასახელა საქართველოს თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართულ ტურნირებში.

უკანასკნელ წლებში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმით ყვარლის სასპორტო სკოლაში ავარჯიშებდა ახალგაზრდა ვაჟებსა და გოგონებს, რათა ფრენბურთის საკლუბო გუნდს „ყვარელს“ შევსება მიეღო და სპორტის ამ სახეობას პოპულარობა არ დაეკარგა.

ყველა უბანზე ალიმანი სანიმუშო საშემსრულებლო დისციპლინის, საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადებული ადამიანის განსახიერება იყო, იგი უშურველად ეხმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს ფეხზე წამოდგომაში.

და მაინც განსაკუთრებულად, თავისი პიროვნული ღირსებებით იყო შემკული – მშვიდი, დარბაისელი, იუმორის მოყვარული, ენატკბილი თამადა, უებრო მეგობარი, მარად მხარში მდგომი, სხვისი მოჭირნახულე და საკუთარ ჭირთათმენი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შენი ოჯახისადმი თავდადება და ერთგულება. ყოველნაირ პრობლემას უმკლავდებოდი, რათა შენს ქალიშვილებს არაფერი მოკლებოდათ და მიეღოთ შესაბამისი განათლება. ამიტომაც უსაზღვროა მწუხარება, უსაყვარლესი მამის უდროოდ გარდაცვალების გამო. შენ ხომკიდევ ბევრი სიკეთის გაკეთება შეგეძლო მათთვის.

ამქვეყნად მარადიული არაფერი არ არის. იქ სადაც არსებობს დასაწყისი, არის ბოლოც, ასეთია ცხოვრების ლოგიკა. არავინ არ იცის ბედისწერა რას უქადის. განა გენიოსი რუსთაველი არ გვასწავლის – „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა, საბაღნაროსა!“

უსაზღვროა გულისტკივილი, ჩვენო ალიმან, ამ ქვეყნიდან შენი ნაადრევად წასვლის გამო. თუმცა ამბობენ – ღმერთსაც შენნაირი სპეტაკი სულის ადამიანები ურჩევნიაო.

ალალი იყოს შენთვის მადლიანი ყვარლის მიწა, ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

**არნე ხატიაშვილი, ანგი გავაშელიშვილი, ომარ სეფაშვილი, ლევან გამსახურდია, ილია ჯაფოშვილი, მამუკა ბერიაშვილი, ლევან კოკორაშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი**

ლევან გამსახურდია მწუხარებით იუწყება ყოფილი ღვაწლმოსილი თანამშრომლის ალიმან ლაფაჩიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ილია ჯაფოშვილი მწუხარებით იუწყება ალიმან ლაფაჩიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“-ის ადმინისტრაცია და ფრენბურთელები მწუხარებით იუწყებიან მწვრთნელის ალიმან ლაფაჩიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

---

კახეთის ფრენბურთის ფედერაცია მწუხარებაში თანაუგრძნობს ალიმან ლაფაჩიშვილის ოჯახს და ახლობლებს ვეტერანი ფრენბურთელის ალიმან ლაფაჩიშვილის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია მწუხარებით იუწყება მწვრთნელის ალიმან ლაფაჩიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს და ახლობლებს.

# წერილი, რომელსაც ცრემლების გარეშე ვერ წაიკითხავ

„ამ ფაქტს, დღემდე სიამაყით ვიხსენებ და ყოველ ჯერზე გული სიხარულით მევსება“ – თენგიზი საგარეჯოელი

მინდა მოგითხროთ რეალური ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, რომელმაც წარუშლელი და ყველაზე ამაღლებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ ფაქტს, დღემდე სიამაყით ვიხსენებ და ყოველ ჯერზე გული სიხარულით მევსება.

### „კვალი მარადიული“

1982 წლის ნოემბერში, ბერლინიდან ერთი კვირით ლონდონში ვესტუმრე ჩემს მეგობარს და კოლეგას ჯონ ვილსონს, რომელიც აეროპორტში დამხვდა საკუთარი მანქანით, ბრიტანელებისთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმით და თავშეკავებით მომიკითხა და მაშინვე მასთან სახლში მიმიწვია. სანამ ჯონის სახლამდე მივიდოდით, რომელიც ლონდონის ძველ, „კენსინგტონ ენდ ჩელსის“ უბანში მდებარეობდა, გულდასმით ვათვალიერებდი ძველ არქიტექტურას. გზად შევიარეთ კენსინგტონის ბაღში, სადაც ადგილობრივი ლუდი დავაგემოვნეთ.

ჯონის სახლი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი: ფეხი შევდგი თუ არა, გამიჩნდა შეგრძნება, რომ მე-18 საუკუნის ინგლისელს ვსტუმრობდი. სახლის ყველა დეტალი მკაცრად კონსერვატორული, თუმცა თანამედროვე დეტალებით შეუმჩნევლად გაფორმებული იყო. გამიკვირდა ის სისუფთავე და წესრიგი, რომელიც იქ დამხვდა, რადგან ჯონს ოჯახი არ ჰყავდა და მარტოხელა მამაკაცები იშვიატად გამოირჩევიან მოწესრიგებულობით.

იმ ღამეს რომელიღაც საფეხბურთო მატჩს ვუყურეთ. უფრო სწორად, ჯონი უყურებდა, მე კი მისი ხათრით ვადევნებდი თვალს. მეორე დღეს დილიდანვე გავედით ქალაქში. ჯონი აშკარად ცდილობდა, ჩემზე ეფექტი მოეხდინა და მისი ინიციატივით, ვიქტორიანული ეპოქის საკონცერტო დარბაზ „ალბერტ ჰოლში“ გავიარეთ, რომლის ვიზუალმა და არქიტექტურულმა სინატიფემ ღამის დეპრესიაში ჩამაგდო. დიდხანს ვიტრიალე და ვათვალიერე შენობის დეტალები. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, ბერლინში ვცხოვრობდი და აღტაცებული ვიყავი გერმანელი ხალხის პედანტობით, გერმანული ქალაქების არქიტექტურითა და ცხოვრების სტილით, ბავშვობიდანვე ყველაზე მეტად მიზიდავდა და მაინტერესებდა დიდი ბრიტანეთი და მისი ისტორია.

ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმის დათვალიერებამ უფრო გაამძაფრა ჩემი ემოციები. მიუხედავად უჟმური ამინდისა, ქალაქის ქუჩები, მოვლილი სკვერები, გაზონები, ცხენებით მოძრავი პოლისმენები უცნაურად სასიამოვნო განწყობას ქმნიდნენ. გამახსენდა ჩემი ლექტორის, ცნობილი ქართველი მეცნიერის სიტყვები: „ესაა ერი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებს მსოფლიოზე ბატონობას“. საოცარ ჭეშმარიტებად მომეჩვენა ეს სიტყვები: ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა ნიუტონი, ბაირონი, შექსპირი, ლივერპულელი ოთხეული, შერლოკ ჰოლმსი, უინსტონ ჩერჩილი და ფეხბურთი… „ხომ შეიძლებოდა, ასეთ ქვეყანაში დავბადებულიყავი და არა პატარა აზიურ ქვეყანაში, სადაც მუდამ პრობლემებია და თავისუფლებაც კი სანატრელი აქვს“. უნებურად წამომცდა-სავით ეს ფიქრი. უგუნებობა შემომაწვა, როდესაც ქართული ბაზილიკა ანგლიკანურ, უმდიდრეს ეკლესიებს შევადარე და იმედგაცრუებულმა აღმოვაჩინე – მათთან შედარებით, თუ რამდენად ღარიბულად, მოკრძალებული არქიტექტურის მქონედ და მცირედ მოჩანდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

– თენგო, შენს ქვეყანაში რომ ჩამოვალ, რას ვნახავ საინტერესოს? – ისე მოულოდნელად მკითხა ჯონმა, შევცბი, და გავიფიქრე, სახეზე ხომ არ დამეტყო იმედგაცრუება და შური. წამით ისევ ჩავფიქრდი, ასეთი ლამაზი, ასეთი ბრწყინვალე, რა უნდა ვანახო? ვერაფერი გავიხსენე.

– ამაზე რომ ჩამოხვალ, მერე ვიფიქროთ. – სიტყვა ავუგდე ბანზე. ჯონმა ვერ შეამჩნია ჩემი ხასიათის ცვლილება და გააგრძელა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებზე საუბარი.

– კინაღამ დამავიწყდა, მეგობარი კოლეგისგან მოწვევა მივიღე, ხვალ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმია „ალბერტ ჰოლში“. მსოფლიოს 150 ქვეყნიდან არიან მოწვეული სტუმრებიო. როგორც მან ამიხსნა, ახალგაზრდები წარმოადგენენ თავის ნამუშევრებს, რომელიც შეეხება სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნების და კულტურის განვითარების ისტორიის მიმოხილვას. ეს ხომ ჩვენი საქმეა? – ჯონიმ ხელები გაშალა და პასუხის მოლოდინში თვალებმოჭუტული მომაჩერდა. დიდად არ მოვიხიბლე აღნიშნული შემოთავაზებით, რადგან, ისედაც ხანმოკლე შვებულების სიმპოზიუმებზე გატარება სისულელედ მომეჩვენა, მაგრამ მეგობარს უარი არ ვუთხარი.

მეორე დღეს „ალბერტ ჰოლის“ შესასვლელში დაგვხვდა ჯონის მეგობარი ქეითი, მაღალი, კაფანდარა, ცისფერთვალება და მხიარული გამომეტყველების ახალგაზრდა ქალი. ჯონიმ გაგვაცნო ერთმანეთს, თუმცა როდესაც ქეითს ჩემი ეროვნება უთხრა, სასიამოვნოდ გამიკვირდა, რომ ყველა სხვასავით, მანაც არ გაიოცა საქართველოს არსებობა. დარბაზში შესულმა აღმოვაჩინე, რომ სიმპოზიუმზე უამრავი ადამიანი იმყოფებოდა. მაყურებელთა წრიულად განლაგებული სკამების წინა ნაწილი თითქმის შევსებული იყო, სცენა მოწყობილი იყო პრეზენტატორების გამოსასვლელად, რომლის თავზე უზარმაზარი მონიტორი იყო განთავსებული. სცენის გვერდით, გრძელ მაგიდასთან, საკონკურსო კომისიის ათკაციანი ჯგუფი ისხდა, მათ შორის ქეითიც.

სიმპოზიუმი ინგლისის ნაციონალური ჰიმნით გაიხსნა. ყველა ფეხზე ავდექით. საოცარი აკუსტიკა ჰქონდა დარბაზს, ყველა ბგერა სრული ჟღერადობით მოდიოდა ყურამდე. მე და ჯონი, ქეითის დახმარებით საკონკურსო კომისიის მარჯვენა მხარეს, პირველივე რიგში ვისხედით, ისე, რომ პირდაპირ ვხედავდით სცენას და კომისიასაც.

მცირე შესავლის შემდეგ, გამოაცხადეს პრეზენტატორების სახელი და გვარები. როგორც მახსოვს, უმეტესი მათგანი ამერიკელები და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან იყვნენ. ხასიათი უფრო გამიფუჭდა, რადგან საბჭოთა კავშირის 15 ქვეყნიდან მხოლოდ ორი წარმომადგენელი იყო, ისიც ბელორუსი და ტაჯიკი. კავკასიიდან – არცერთი.

პირველი პრეზენტატორი იტალიელი აღმოჩნდა, რომლის ნაშრომი შეეხებოდა ძველი რომიდან თანამედროვე იტალიამდე ეპოქას. მას მოჰყვა ესპანეთის, შემდეგ ავსტრიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, შვედეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, ბელგიის, საფრანგეთის, ამერიკის, თურქეთის და სხვა ქვეყნის პრეზენტატორთა გამოსვლები. უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში უცნაურად შემოქმედებითი აურა შეიქმნა. მსგავს მონიწებას და პატივისცემას ამხელა აუდიტორიაში, აქამდე არასდროს შევსწრებივარ. გამოსვლების დასრულების შემდეგ, დარბაზი ხანმოკლე ტაშით გამოხატავდა მოწონებას. შეგრძნება მქონდა, რომ საკონცერტო დარბაზის ჰაერი გაიჟღინთა საფრანგეთის რევოლუციის, ინგლისური კონსერვატიზმის, ესპანური კორიდისა თუ რომაული ამფითეატრების სუნით.

წარმოდგენილი ნაშრომები აბსოლუტურად განსხვავებული იყო: ზოგი ზეპირად წარმოადგენდა მიმოხილვას, ზოგი დიდ ეკრანზე ხსნიდა ნამუშევრის დეტალებს, ზოგი ისტორიულ ფოტოებს იშველიებდა. ამ ყველაფერს ისეთი ენთუზიაზმით, ინტერესითა და აღტაცებით აკეთებდნენ, რომ აშკარა იყო, ყველა ამაყობდა საკუთარი ნაშრომით. კომისიის წევრები ყველა პრეზენტატორს გულისყურით უსმენდნენ და შენიშვნებს ფურცლებზე ინიშნავდნენ. ვიგრძენი, წინა დღის უარყოფითი ემოცია დარბაზში ყოფნისას და პრეზენტაციების მოსმენისას, უფრო მიმძაფრდებოდა. თითქოს თავი ზედმეტად და უსუსურად ვიგრძენი. რომ არა მეგობრისადმი პატივისცემა, მზად ვიყავი, დამეტოვებინა იქაურობა.

ერთსაათიან შესვენებაზე „ალბერტ ჰოლი“-ს კაფეში გავედით, სადაც შემოგვიერთდა ქეითი. რატომღაც, იმ მომენტში გულწრფელად ვუთხარი ჯონის ის, რასაც ვფიქრობდი და განვიცდიდი ეს ორი დღე. ჯონის ხმამაღლა გაეცინა, ქეთიმ კი არაფერი თქვა, მხოლოდ გაიღიმა, ან მომეჩვენა, რადგან მას ისედაც სულ მომღიმარი სახე ჰქონდა. ამან უფრო გამაღიზიანა და ვთქვი:

– ჰო, შენ გეცინება! ძალიან ადვილი და მხიარულია ცხოვრება მისთვის, ვინც დიდ და მდიდარ ქვეყანაში იბადება და დაბადებიდანვე ბედნიერებისთვისაა „განწირული“. ყველაფერს ბედი უნდა ამ სამყაროში. ამდენი ქვეყნის წარმომადგენელია აქ თავმოყრილი და შევამჩნიე, უკვე ექვსმა მათგანმა ისაუბრა ინგლისის ისტორიაზე, თითქოს მათ მშობლიურ ან სხვა ქვეყნებზე არაფერია სასაუბრო. ვის აინტერესებს პატარა ქვეყნები? თუ გინდა, მცირე ექსპერიმენტი ჩავატაროთ: ჩემი ქვეყნის სახელი რომ ჰკითხო ამ „ისტორიკოსებს“, დარწმუნებული ვარ, ყველას ამერიკის ჯორჯიის შტატი ეგონება. სამწუხაროდ, ესაა პატარა ქვეყნის ხვედრი დიდ და ულმობელ სამყაროში!

იმ დღეს, საღამოს 18:00 საათზე შეწყდა ნაშრომების პრეზენტაცია და მეორე დღეს, დილის 10 საათიდან განახლდა. კვლავ გაგრძელდა ორატორების გამოსვლები, რომლებიც მთელი აღტყინებით ცდილობდნენ, მსმენელისთვის საინტერესოდ წარმოედგინათ ნაშრომი, რაც უმეტესად, გამოსდიოდათ კიდევ. აუდიტორიას რომ გადავავლე თვალი, შევამჩნიე, რომ წინა დღისგან განსხვავებით, ახალგაზრდების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილიყო. დაახლოებით საღამოს 17 საათზე, ბოლო პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც, მოულოდნელად ტრიბუნასთან მივიდა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, 50 წლამდე ასაკის მამაკაცი, გვარად ჰარისონი, მიკროფონი აიღო და განაცხადა:

– მეგობრებო, სიმპოზიუმი მინდა დავასრულო ჩემი პრეზენტაციით, რომელიც ეხება ჩემთვის აქამდე უცნობ ქვეყნის ისტორიას.

არ მესიამოვნა, რადგან უკვე დარბაზიდან გასასვლელად ვემზადებოდი. თუმცა, ვინაიდან კომისიის მოპირდაპირედ ვისხედით, ეს უტაქტობად ჩამეთვლებოდა და იძულებული გავხდი, დავრჩენილიყავი ადგილზე.

– ეს იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ამ რუკაზე არც კი ჩანს. დარბაზში სიცილი ატყდა. ჰარისონმა ხელი უზარმაზარი მონიტორისკენ გაიშვირა, სადაც მსოფლიოს რუკა გამოისახა. – ამ ქვეყნის მოსახლეობა ჩვენი ერთი ქალაქის მოსახლეობაზე სამჯერ ნაკლებია, წარმოგიდგენიათ? თუმცა, მისი ასაკი, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებზე ათჯერ მეტია. გულწრფელად გეტყვით, ამ ქვეყნის და მისი ისტორიის აღმოჩენა ჩემთვის მსოფლიოს მერვე საოცრებაა!

ჰარისონის ასეთმა შესავალმა „ალბერტ ჰოლის“ აუდიტორია უცებ გამოაფხიზლა. დარბაზი გაისუსა და ინტერესით მიაჩერდა მომხსენებელს, თან მონიტორიზე გამოსახულ რუკას მისჩერებოდნენ. ჰარისონი აზარტში შევიდა, სცენაზე ვერ ჩერდებოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა და ისეთი აღტაცებით და მგზნებარებით საუბრობდა, მიუხედავად მოწყენილობისა, მეც კი დავინტერესდი.

– მაშინ, როდესაც ჩვენი საამაყო ინგლისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ამ ქვეყანაში უკვე შექმნილი იყო ხელოვნების და კულტურის ბრწყინვალე შედევრები! როდესაც ჩვენთან საფუძველი ჩაეყარა პარლამენტს, ამ ქვეყანაში უკვე არსებობდა მისი წინამორბედი, მეფის სათათბირო ორგანო. როცა ამერიკა შეიქმნა, სწორედ იმ დროს, ამ ქვეყანაში დაიბეჭდა მსოფლიო პოეზიის საგანძური, სიყვარულის და მეგობრობის ბალადა! სწორედ აქ, პირველად მთელ მსოფლიოში, ხმამაღლა ითქვა, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან! ხვდებით, რა დონის ცივილიზაცია, საზოგადოების განვითარების რა დონე იყო ამ ხალხში?

ამ ქვეყანამ გაუძლო რომაელთა ლეგიონებს, ალექსანდრე მაკედონელს, ჩინგიზ ყაენის და თემურ ლენგის დამანგრეველ შემოსევებს და თითქმის მომაკვდავი, დანგრეული, ათასგზის გადამწვარი და დარბეული, სასწაული ძალით, ფენიქსისებურად ფერფლიდან აღდგებოდა! ისევ ახერხებდა არათუ გადარჩენას, არამედ უფრო შესანიშნავი კულტურის და გამაოგნებელი ისტორიის წერას!

სრულად გამოვფხიზლდი...თითქოს რაღაც ძალიან ნაცნობზე და ჯერ არდავიწყებულზე, ძალიან მშობლიურზე საუბრობდა მომხსენებელი. გარინდებული ვისმენდი თითოეულ სიტყვას და ფიქრმა გამიელვა: „ნუთუ? მაგრამ, საიდან, როგორ? – მყისვე უკუვაგდე სულელური ვარაუდი.

ჰარისონი კი ისევ აგრძელებდა საგალობელივით: – ამ ქვეყანაში სიმღერით იბადებიან, სიმღერით შრომობენ, სიმღერით საუბრობენ და სიმღერით კვდებიან! მათთვის მუსიკა სულის საკვებია, რომლითაც საუკუნეებია, უზარმაზარ ურჩხულებს შორის მოქცეულები, აცოცხლებენ საკუთარ სახელს, საკუთარ ტრადიციებს და იდენტობას! ისინი უმღერიან სიცოცხლეს, უმღერიან მზეს, დიახ, მათ აქვთ მზის სადიდებელი სიმღერა, როგორც მადლიერების გამოხატვა სიცოცხლის მინიჭებისათვის!

ამ ქვეყნის შესწავლისას აღმოვაჩინე, რომ ეს ერი საკუთარ მიწას ღვთისმშობლის წილხვედრს უწოდებს! გეცინებათ? სრულიად ტყუილად! როგორ შეიძლება ამაში ეჭვი შეიტანო? სხვა რა ძალას შეეძლო გადაერჩინა ეს ერთი მუჭა ერი, რომელიც უძველესი ქალაქებით, კულტურის უძველესი ძეგლებით და საკუთარი, უნიკალური დამწერლობით იწონებს თავს?

ამ ქვეყანამ სამყაროს აჩუქა შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ვახტანგ ჭაბუკიანი, დავით აღმაშენებელი? ალბათ, ბევრს არ გსმენიათ ჩამოთვლილი პიროვნებები, ხომ? ეს ჩვენი სირცხვილია, მაგრამ ზუსტად ვიცი, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, სამყაროს ყველა კუთხეში იცნობენ უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მხედართმთავარს, „ფოლადის კაცად“ წოდებულ იოსებ სტალინს! დიახ, სტალინის ნამდვილი გვარია ჯუღაშვილი და ის ქართველი იყო!

ჰარისონის ბოლო წინადადებაზე დარბაზს გაოცებულმა შეძახილმა გადაუარა – აშკარად მოულოდნელი იყო მოსმენილი ინფორმაცია.

– მე სხვა პრეზენტატორებივით არ წარმოვადგენ დოკუმენტებს ნიშნად ამ ერის უნიკალურობისა. მე მინდა, მხოლოდ მათი კულტურული შემოქმედების რამდენიმე ნიმუში წარმოგიდგინოთ, რომელიც სრულყოფილად დაგვანახებს ამ ქვეყნის სახეს!

უცებ საკონცერტო დარბაზი ქართული „დაისის“ ჰანგებით გაივსო. უზარმაზარ მონიტორზე ავაზასავით შემოვარდნენ ქართული ნაციონალური ანსამბლის „სუხიშვილების“ სოლისტები. „დაისს“ „მთიულური“ მოჰყვა და...ცეცხლი დაინთო! ცეცხლი კი არა, ეს იყო ხანძარი, „ალბერტ ჰოლის“ სტუმრების წინაშე წარმოდგენილი იყო „ჭეშმარიტად ქართული გენია, როკვით განფენილი“.

ალბათ, ადვილად წარმოსადგენია, ამ დროს მე რა დამემართა! ეს იყო ის მომენტი, როდესაც სიტყვები სრულიად უძლური, უფერულია ემოციების და გრძნობების გადმოსაცემად. სრულყოფილად ვერც დარბაზში მსხდომთა ემოციებს აღვწერ, რადგან თავად მთვრალივით არეულს, აღქმა წამიერად დამიქვეითდა. ეს იყო სრული ფურორი! მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, სინქრონულად გაიძახოდა „ბრავო“-ს და უწყვეტად უკრავდა ტაშს. არ მახსოვს, რამდენი წუთი გრძელდებოდა ეს ყველაფერი. ვხედავდი, რომ ჩემს თვალწინ გაქრა მათი თავშეკავებულობა. იცინოდნენ, ყვიროდნენ როგორც სტადიონზე და ერთმანეთს ხელით რაღაცას ანიშნებდნენ მონიტორისკენ. მცირე პაუზის შემდეგ, „სულიკოს“ მელოდიამ გამომაფხიზლა და სხეულში დენივით გამიარა. ვიცოდი, რომ ეს სიმღერა ბევრ ენაზე იყო ნამღერი, მაგრამ მთელი დარბაზი ასეთი სიზუსტით და ასე ერთხმად ამღერებული, აქამდე მხოლოდ „ქუინის“ კონცერტზე მყავდა ნანახი.

სიმღერის დასრულების შემდეგ, ჰარისონმა, რომელიც სახეგაბადრული და ბედნიერი იდგა სცენაზე, ხელის აწევით სთხოვა აუდიტორიას დამშვიდება, შემდეგ კი ხმამაღლა განაცხადა: როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ჩვენთან იმყოფება ამ ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის სტუმრობის შესახებ არავინ ვიცოდით. მივესალმოთ მას და ერთხმად ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რომ არსებობენ! – ჰარისონი შემობრუნდა და ორივე ხელი ჩემკენ გამოიშვირა. არ მახსოვს, როდის წამოვდექი, რას ვამბობდი, რას ვაკეთებდი, რას ვლუღლუღებდი არეული...ვიდექი ფეხზე, თავზე დამნათოდა საკონცერტო დარბაზის პროჟექტორი და ვგრძნობდი დამსწრეთა ჩემკენ მომართულ მზერას.

მხოლოდ იმ წამს მივხვდი, თუ რა ბედნიერება მხვდა წილად, რომ ქართველად დავიბადე. მივხვდი, რომ სწორედ იმით ვიყავი ამაყი და გოროზი, შექსპირის – ინგლისელებზე, ჰიუგოს და ნაპოლეონის – ფრანგებზე, ველასკესის და სერვანტესის – ესპანელებზე, მიქელანჯელოს და იულიუს კეისრის იტალიელებზე აღმატებული და უფრო დიდი, რომ მე, ამ ერთი ციდა, მაგრამ უზარმაზარი გულის და სიამაყის მქონე ერის ნაწილი ვიყავი, რომელიც ვერ გააქრო სამყაროდან თავად უკვე გაძერალმა მაკედონელის იმპერიამ, დაშლილ-დანაწილებულმა რომის იმპერიამ, ათასგზის იავარქმნილმა ბიზანტიამ, მრავალჯერ სახელ და სახეცვლილმა ირანმა და ოსმალეთმა.

მოძალებული ემოციების გამო, თავი ვერ შევიკავე, სახეზე ორივე ხელი ავიფარე და ტირილი დავიწყე...

ვტიროდი ყველას წინ უხმოდ, მაგრამ დიდი ცრემლებით...

ვტიროდი, რადგან შემრცხვა ჩემი პატარა, ჯვარზე ათასჯერ გაკრული და არც ერთხელ ჩამოხსნილი სამშობლოს წინაშე.

ვტიროდი, როგორც უძღები, უმადური შვილი პატარა საქართველოსი და ამ ცრემლებით ვითხოვდი მისგან პატიებას.

**თენგიზ საგარეჯოელი**
**04. 11. 2023 წელი**

# ... როცა საკუთარი თავის გარდა არავის ეჯიბრები, ცხოვრება დღესასწაულია

რატომ უნდა ეჯიბრო, ან გშურდეს,
როცა ღმერთმა ყველას თავისი საზომი
არგუნა. იყავი ის, ვინც ხარ და ყველაფერი კარგად იქნება...!!

„ზოგჯერ ცხოვრება მუხლებზე
დაგცემს, მაგრამ არ უნდა შეწყვიტო
ბრძოლა, თუკი თავს დახრი, ნუ ელოდები, რომ წარმატება თავისით მოვა...
თუ დაეცემი, ნუ შეშინდები, წინსვლისთვის
ძალას ყოველთვის ჰპოვებ,
მუდამ გახსოვდეს უფლის
შვილი ხარ, ის კი
არასდროს მარტო არ გტოვებს!“

# ღმერთმა დალოცოს ჩვენი საქართველო

### ქართველები

შტეფან ცვაიგი (ავსტრიელი მწერალი): გვიამბობს საქართველოს შესახებ.

„ეს ძველისძველი ერია, რომელსაც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი შეხვედრია თავის ლაშქრობაში და თავისდა საბედნიეროდ არ მოქცეულა თურქული თუ სპარსული ზეგავლენის ქვეშ... ეს ქვეყანა დედამიწის ერთ-ერთ უმშვენიერეს გარემოშია ჩაკარგული. მას სახელი გაუთქვამს თავისი ძლიერებით თუ ლეგენდებით და მაინც ასე სამარცხვინოდ უცნობია ჩვენთვის, ევროპელებისათვის“.

კნუტ ჰამსუნი (ნორვეგიელი მწერალი): „ეს აღთქმული ქვეყანაა... აქ დაირწა კაცობრიობის აკვანი“.

ლევ ტოლსტოი (რუსი მწერალი): „ჩემი განზრახვა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, იყო ზეგარდმო მადლი და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს; ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“.

ალფრედ რამბო (ფრანგი ისტორიკოსი): „საქართველომ წარსულში დიდი საქმე გააკეთა და დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინა მონღოლთა და მაჰმადიანთა შემოტევების დროს, მტკიცე ზღუდეობა გაუწია ევროპას. უბედურ ევროპას, რადგანაც ეს უკანასკნელი კარგად ვერ იცნობდა საქართველოს“,

ბერჰარდ შტერნი (გერმანელი სწავლული): „საქართველო საოცრებათა ქვეყანაა, ცათა სწორია კავკასიონის მწვერვალებით, მშვენიერი ხალხით, რომანტიკული ციხესიმაგრეებითა და ქალაქებით, იშვიათი ლეგენდებითა და მთელი ისტორიული ტრადიციებით“.

ბორის გრეინშპოლი (გერმანელი მეცნიერი): „ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოიშინაურეს ცხენი და როგორც ჩანს, ავსტრიამდე მივიდნენ, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 2800 წელს, შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, თუმცა, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა – ქართველები“...

**ლალი თაკვარელია**

# დალი ტორაძის სევდიანი მონატრება

ყვარლის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი ადამიანი, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტი, ფორტეპიანოს პედაგოგი დალი ზაალის ასული ტორაძე. თავად მუსიკაზე შეყვარებულმა მრავალი თაობა აღუზარდა რაიონს. ყოველთვის ეამაყებოდა, რომ მუსიკალურ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. დალიმ დაამთავრა ყვარლის სამუსიკო სკოლა, შემდეგ თელავის სამუსიკო სასწავლებელი. გარკვეული წლების შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის თელავის სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით.

დაოჯახება კვლავ მუსიკალურ ოჯახთან მოუწია. მეორე ნახევარ ალექსანდრე ღალიაშვილთან ერთად სამი შვილი შეეძინა. სამივე ამ ორივე ოჯახის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულების კვალს გაყვნენ. მუსიკის განსაკუთრებული ნიჭი კი საშუალოს, იოსებ ღალიაშვილს აღმოაჩნდა. წარმატებებს წარმატებები მისდევდა. დაამთავრა თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი, შემდეგ იყო კონსერვატორიის მაგისტრატურა, ასპირანტურა და დღემდე წარმატებით აგრძელებს მუშაობას თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, ცინცაძის სახელობის სამუსიკო აკადემიაში. ამ პერიოდში ქალბატონი დალი დროებით გადავიდა თბილისში საცხოვრებლად და დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახელობის უნივერსიტეტი ფორტეპიანოს სპეციალობით. ერთი პერიოდი ოჯახის გამოც მოუწია საზღვარგარეთ წასვლა და ქართულ სათვისტომოს სახლში ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უკვე ჯანმრთელობა ღალატობდა, მაგრამ მაინც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა კუჭატნის სამუსიკო სკოლის ფილიალში, სადაც როგორც ყველგან, დიდი სითბო და სიყვარული დატოვა.

ჩვენო დალი, შენი გარდაცვალების დღე ჩვენთვის, განსაკუთრებით შენი თანამშრომლებისთვის საოცრად ტკივილიანი და აღმაშფოთებელი იყო. ყველამ ვიცოდით შენი ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ გვეგონა უფალი ასე მალე არ გაგიმეტებდა ამისათვის.

ორმოცი დღე გავიდა უკვე და შენი მეგობრები, ახლობლები, თანამშრომლები შენი ტკივილიანი მოგონებებით ვართ დატვირთულნი. წლები გავა და ისევ შენი მოგონებებით ვიცხოვრებთ. ზაალ ტორაძის ოჯახიდანაც სიმღერის ხმაც აღარ გამოვა, ვერც შენი შვილების წარმატებებით იამაყებ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ შენით, რომ ასეთი შვილები აღზარდე და მათ ქება-დიდებაზე ახლა ჩვენ ვილაპარაკებთ. ერთსაც გეტყვით, – ჩვენ, შენი კოლეგები ყოველთვის თვალს გავადევნებთ შენი შვილების ცხოვრების გზას და იმედი გქონდეს, საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის მათ გვერდით ვიქნებით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და მაქედან ილოცე შენი შვილებისთვის. უფალი გფარავდეს და ჩვენს მიერ დანთებული სანთლებით ყოველთვის განათებული იყოს შენი სასუფეველი.

**ყვარლის სამუსიკო სკოლა**
**და ყვარლის სამუსიკო**
**სკოლების გაერთიანება**

# ღმერთი, რწმენა, ადამიანი!

ბიბლია ადამიანის გენიის უნიკალური შედევრია. უძველესი დამწერლობის უზარმაზარი ძეგლი, რომელიც იქმნებოდა დროის უზარმაზარ მონაკვეთში: ძვ. წ. XIII საუკუნიდან ახ. წ. II საუკუნემდე. ქრისტიანობა მაღალ ზნეობას ქადაგებს. საქართველოა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა; საქართველოში იქადაგა ანდრია მოციქულმა; საქართველო ნინომ განანათლა; საქართველოს მფარველია წმინდა გიორგი; საქართველოში ინერგებოდა ქრისტესმიერი სიყვარული ერისა.

ჩვენ, ქართველები, ჩვენი ღმერთივით ჯვარცმული ერი ვართ. ჩვენი პატარა ქვეყნისათვის ქრისტიანობა იქცა დროშად, რომლითაც თავის ფიზიკურ და ინტელექტუალურ არსებობას ინარჩუნებდა საუკუნეების განმავლობაში.

„მრწამსი“ გვასწავლის, რომ ღმერთი არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა „ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა“. ღმერთი არის ერთადერთი წყარო და მიმცემი მადლისა, ამიტომ არავის სხვას, გარდა ღვთისა, არ შეეძლო დაწესება საიდუმლოებანის, ქრიატიანული საკულტო წესების, რომელთა ხილული მოქმედებით ადამიანებზე უხილავი ზეგარდმო მადლი გადმოდის.

ამ გზით გადმოცემული ღვთის მადლი მორწმუნეს ეხმარება სიძნელეების დაძლევაში, ქრისტიანული სიწმინდის დაცვაში. მართლმადიდებელი ეკლესია ცნობს 7 საიდუმლოს: ნათლობა (ნათლისღება), მირონცხება, ზიარება, სინანული (აღსარება), მღვდლობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა.

ამათგან მთავარია ნათლობა, ქრისტიანად მოქცევის ცერემონიალი. ნათლისღება, ნათლობა უფლისა – საკუთრივ ქრისტეს ნათლობა წმინდა მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლისაგან (იოანე წინამორბედი) როცა თავზე წყლის დასხმით იოანემ ძე უფლისა აკურთხა; იესო წყლიდან გადმოვიდა, სულიწმიდა მტრედის სახით დაადგა თავზე და ციდან გაისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი, რომელ მე სათნო ვიყავ“. ქრისტეს ღვთაებრიობის ამ დასტურით და მტრედის მოვლინებით პირველად მოხდა სამების (სამერთარსების) გამოცხადება.

ამ დიდ ქრისტიანულ მოვლენასთან დაკავშირებული დღესასწაული, სხვადასხვარად უფლის გამოცხადება, წყალკურთხევა, საქრისტიანოს ერთი უდიდესი საიდუმლოება, შვიდთაგანი, ტარდება 19 იანვარს; გამოცხადება ეწოდა ზეცით უფლის ხმის და მტრედის მოვლინების გამო. ამ დღეს, როცა იოანე ნათლისმცემელმა ნათელი სცა იესოს „იორდანესა შინა“.

ამ საიდუმლოს აზრი ისაა, რომ ადამიანი სულიერად იბადება და შეწყნარებული იქნება წმინდა ეკლესიის წიაღში. საღმრთო საიდუმლოს – მირონცხების სახით ადამიანს ამ დღეს ენიჭება საღმრთო მადლი და განმტკიცდება მისი შემდგომი ცხოვრება.

ნათლობა ადამიანს ათავისუფლებს ეშმაკის ცდუნებისაგან, პირველქმნილი ცოდვის სიმძიმისაგან. რიტუალს ასრულებს მღვდელი და ეხმარება დიაკონი; მღვდელს ნათლიებიც ეხმარებიან. მოძღვარი სამჯერ შეუბერავს სახეში მოსანათლავს, დალოცავს და სამჯერ ჩასვამს წყალში (ემბაზში), შეაჭრის თმის კულულს, წაცხებს მირონს სახეზე, ხელ–ფეხზე, უწოდებს სახელს და დაჰკიდებს ჯვარს.

სულიერი ცხოვრება ქრისტიანისა იწყება ნათლობით, ესაა „წყლით განბანვა და ხელახლა დაბადება“. პირველი აღქმა, რასაც წმინდა ემბაზის წინ წარმოთქვამენ, არის ბოროტისაგან ადამიანის განშორება: „განვეშორები ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან, და ყოველთა მსახურთაგან მისთაგან.

საეკლესიო მოძღვრებით, ნათლობა ხდება სულიწმიდის მადლით, რომლის მოფენაც მხოლოდ მამა–ღმერთს შეუძლია და მისი ძალით ხდება „განახლება ცოდვილი ადამიანისა“, რომელიც წმინდა ემბაზიდან გამოდის პირველჩენილი შეცოდებისაგან სუფთად განწმენდილ–გამართლებული. საფუძვლად უდევს მაცხოვრის სიტყვები: „უკეთუ ვინმე არა იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“.

ქრისტიანული ნათლობა იწყება I საუკუნეში, სავალდებულო გახდა IV საუკუნიდან. დასაბამად ითვლება იოანე ნათლისმცემლის მიერ ქრისტეს მონათვლა მდინარე იორდანეში.

ჩვენთან არს ღმერთი!

**ოთარ დავითაშვილი**
**ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის**
**რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი**

# როგორ შევებრძოლოთ ვირუსებს პროდუქტების სწორად შერჩევით

შვილების ჯანმრთელობაზე ზრუნვა მშობლებისთვის ნომერ პირველი პრიორიტეტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარშემო სხვადასხვა ტიპის ვირუსები აქტიურდება.

მართალია ზამთრის მიწურულია, მაგრამ ჯერ კიდევ წელიწადის ის დროა, როცა ბავშვების იმუნიტეტზე ზრუნვა განსაკუთრებით გვიწევს.

1. ბავშვის კვებაში გაცილებით აქტიურად ჩავრთოთ ხილი და ბოსტნეული

მინდა გითხრათ, რომ ხილის და ბოსტნეულის საკმარისი რაოდენობით, კვების რაციონში ჩართვით, ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის საჭირო ვიტამინების, მინერალებისა და ანტიოქსიდანტების მარაგი გარანტირებული გექნებათ.

განსაკუთრებით სასარგებლო ხილის და ბოსტნეულის სახეობებია:

კივი, კენკრა, ბროწეული, ვაშლი, ანანასი, ავოკადო, მსხალი, ნიორი და ხახვი, წითელი წიწაკა, ჭარხალი, კომბოსტო, გოგრა, ისპანახი და სტაფილო. ეცადეთ, დღის განმავლობაში რამდენიმე მაინც შეიტანოთ ყოველდღიურ რაციონში. მაგალითად, კენკროვნებს აქვთ ანთების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი და აძლიერებენ იმუნურ სისტემას, ასევე ძალიან სასარგებლოა ბროწეული, რომელიც მდიდარია ანტიოქსიდანტებით, პოლიფენოლებით და C ვიტამინით. ავოკადო შეიცავს ჯანსაღ ცხიმებს და C და E ვიტამინებს, რომლებიც აძლიერებენ იმუნურ სისტემას და იცავენ ვირუსებისგან. 2. ციტრუსები – ფორთოხალი, მანდარინი და ლიმონი მდიდარია C ვიტამინით, ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას და ორგანიზმს გაციებისგან იცავს. C ვიტამინის მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთარში.

3. რაციონში აუცილებლად ჩართეთ ცილის ისეთი წყაროები, როგორიცაა ქათამი, თევზი, კვერცხი და ლობიო. პროტეინი არა მხოლოდ ხელს უწყობს ქსოვილების ზრდას და აღდგენას, არამედ აძლიერებს იმუნურ სისტემას. ორაგული არის აუცილებელი ომეგა – 3 ცხიმოვანი მჟავების შესანიშნავი წყარო. ამ ცხიმოვან მჟავებს აქვთ ანთების საწინააღმდეგო თვისებები, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში ანთების შემცირებას. მათ ასევე შეუძლიათ დაეხმარონ იმუნიტეტს სხვადასხვა ინფექციებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ორაგული მდიდარია ცილებით, D ვიტამინით და B12 ვიტამინით, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯანსაღი იმუნური სისტემის შენარჩუნებაში და ორგანიზმის საერთო კეთილდღეობაში. ამიტომ, ორაგულის ჩართვა რაციონში მარტივი სენდვიჩების სახით ძალიან სასარგებლოა იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

4. ძალიან კარგია პრობიოტიკებით მდიდარი საკვების მიღებაა. მაგალითად ისეთის, როგორიცაა იოგურტი, კეფირი, მაწონი, აირანი. ეს პროდუქტები ხელს უწყობს ნაწლავის ჯანსაღი ფლორის შენარჩუნებას და აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრობიოტიკებით მდიდარი საკვები შეიცავს სხვადასხვა ტიპის ბაქტერიებს, რომლებიც ხელს უწყობენ ნაწლავის მიკროფლორის ბალანსის აღდგენასა და შენარჩუნებას, რაც თვის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნიტეტის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, პრობიოტიკებს შეუძლიათ ორგანიზმში ანთების შემცირება, საჭმლის მონელების გაუმჯობესება...

5. შევზღუდოთ შაქარი – პატარებს განსაკუთრებით უყვართ ტკბილეული. მოარიდეთ შაქრის ჭარბ მოხმარებას, რომელსაც შეუძლია დათრგუნოს იმუნური სისტემა და ხელი შეუწყოს ანთებას.

6. მნიშვნელოვანია საკმარისი რაოდენობით წყლის მიღება – სხეულის ჰიდრატაციის შესანარჩუნებლად და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. აკონტროლეთ, რომ ბავშვმა დღის მანძილზე თავისი წონის რეკომენდებული რაოდენობის წყალი მიიღოს.

7. კვების რაციონში D ვიტამინით მდიდარი საკვები – ზამთარში, როცა ნაკლებადაა მზიანი ამინდები, მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ D ვიტამინით მდიდარ საკვებს, როგორიცაა ცხიმიანი თევზი, ცხოველის ღვიძლი და კვერცხის გული.

ამ პრინციპების დაცვით, თქვენც შეძლებთ გააძლიეროთ თქვენი და თქვენი ოჯახის უმცროსი წევრების იმუნური სისტემა და უფრო ეფექტურად დაიცვათ ორგანიზმი ვირუსებისა და ინფექციებისგან.

# როდის არის წვენი უფრო ჯანსაღი, ვიდრე ხილი?

ზოგიერთი ექიმისა და დიეტოლოგის აზრით, უმჯობესია ხილის ჭამა, ვიდრე მისგან მიღებული წვენი.

სხვები თვლიან, რომ წვენები არ უნდა იყოს უგულებელყოფილი ჯანსაღ დიეტაში.

გამოდის, რომ სამეცნიერო საზოგადოებაში ასევე არ არსებობს კონსენსუსი წვენების, ჯანმრთელობაზე მათ გავლენასა და რაციონში ჩართვის აუცილებლობის შესახებ. ბევრი მკვლევარი განსაკუთრებით შეშფოთებულია წვენებში თავისუფალი შაქრის არსებობით.

კემბრიჯის უნივერსიტეტმა ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა სისტემატური მიმოხილვა ნატურალური, 100% წვენების სარგებლობის შესახებ. მეცნიერებმა გაანალიზეს მრავალი გამოკვლევის მონაცემები ყველა სახის ბუნებრივი ბოსტნეულისა და ხილის წვენების შესახებ და დასკვნეს, რომ ხილისა და ბოსტნეულის წვენების ზომიერი მოხმარება დადებით ან ნეიტრალურ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე.

100% ხილისა და ბოსტნეულის წვენების მოხმარება არ მოქმედებს ანთროპომეტრიულ მახასიათებლებზე ან სხეულის ფორმებზე. მარტივად რომ ვთქვათ, ის არ იწვევს ჭარბ წონას.

უფრო მეტიც, თითოეულ წვენს აქვს თავისი სარგებელი. მაგალითად, ნარინჯისფერი შეიძლება დაგვეხმაროს სისტოლური წნევის შემცირებასა და ენდოთელიუმის ფუნქციის გაუმჯობესებაში სპეციალური ნივთიერების – ჰესპერიდინის შემცველობის გამო. მას ასევე შეუძლია შეამციროს პლაზმური თირეოგლობულინი. არსებობს კიდევ საინტერესო მტკიცებულება ფორთოხლის წვენის დადებითი ეფექტის შესახებ კოგნიტურ ფუნქციასა და მიკრობიოტაზე, თუმცა მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ შემდგომი დადასტურება.

წვენებში უფრო მეტი ანტიოქსიდანტებია. წვენებში ყველაზე ღირებული ნივთიერებებია პოლიფენოლები (ფლავონოიდები, ფენოლის მჟავები) და კაროტინოიდები (β-კაროტინი, ლიკოპენი). ეს არის ანტიოქსიდანტები, რომლებიც ანეიტრალებენ თავისუფალი რადიკალების მოქმედებას, რომლებიც უჯრედების დაზიანებისა და დაბერების ერთ-ერთი მიზეზია.

კვლევამ აჩვენა, რომ პოლიფენოლის დონე დროთა განმავლობაში არ იცვლება. ეს ნიშნავს, რომ წვენი ჯანსაღია მთელი მისი შენახვის ვადის განმავლობაში. დადასტურებულია, რომ პოლიფენოლებს შეუძლიათ მრავალი დაავადების თავიდან აცილება.

წვენებში შეიძლება ანტიოქსიდანტების გაცილებით მაღალი დონე იყოს, ვიდრე ხილში ან ბოსტნეულში. ერთი ჭიქა ვაშლის წვენი შეიცავს დღიურ ნორმაზე მეტ ქლოროგენის მჟავებს, რომელიც ხელს უწყობს გულისა და სისხლძარღვების ჯანმრთელობას და სისხლში ქოლესტერინის დონის ნორმალიზებას. ერთი ჭიქა ტომატის წვენი შეიცავს ლიკოპენის სამმაგ რაოდენობას – ეს ბევრად მეტია, ვიდრე ახალ პომიდორში.

ფორთოხლის წვენი შეიცავს 1,5-ჯერ მეტ ჰესპერიდინს, ვიდრე ფორთოხალი. ერთი ჭიქა სტაფილოს წვენი შეიცავს ბეტა-კაროტინისა და A პროვიტამინის დღიურ ნორმაზე გაცილებით მეტს.

ასევე, ყველა სახეობის წვენი შეიცავს კალიუმის და მაგნიუმის მნიშვნელოვან კონცენტრაციას და სახეობიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება იყოს ორგანიზმში სხვადასხვა ვიტამინებისა და მინერალების შეყვანის საშუალება: ციტრუსის წვენები – ვიტამინი C და ფოლატები (ვიტამინი B9), ანანასის წვენები – მანგანუმი, ვიტამინი C და B ვიტამინები, ვაშლი – ქრომი, ყურძენი – მოლიბდენი, რკინა და ქრომი, ბროწეული – სპილენძი და ტანინები, ალუბალი – რკინა, სპილენძი და პანტოთენის მჟავა. წვენი რბილობით არის პექტინის და, ზოგადად, დიეტური ბოჭკოების წყარო, რომელიც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას და ორგანიზმიდან გამოდევნის არასაჭირო და მავნე ნივთიერებებს.

### ერთი ჭიქა წვენი დღეში

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ რაციონიდან წვენების გამორიცხვა უგუნურებაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, ადამიანმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს მინიმუმ 5 ულუფა ბოსტნეული და ხილი. ერთი ულუფა შეიძლება უბრალოდ შეიცვალოს წვენის ნაწილით 150-200 მლ. ამიტომ, თუ უკუჩვენებები არ არის, დიეტოლოგები გვირჩევენ დღეში 100-300 მლ წვენის დალევას.

სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებების მისაღებად უმჯობესია სხვადასხვა წვენების მონაცვლეობა.

**ლალი ჩხიკვაძე**

# წყალი უფრო გამამხნევებელად მოქმედებს, ვიდრე ყავა

კვების ექსპერტებმა დაასახელეს პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობს ენერგიის აღდგენას:

1. კვერცხი. ეს პროდუქტი მდიდარია რკინით, ცილებით და ქოლინით (B ვიტამინი). ეს ნივთიერებები აუცილებელია ტვინის აქტიური ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, ცილა ხელს უწყობს მეტაბოლიზმს და მაღალი ხარისხის ენერგოცვლას.

2. ბანანი. განწყობის ასამაღლებლად ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ხილი. უნდა მიირთვათ 1-2 ბანანი დღეში. ის შეიცავს უამრავ მაკროელემენტს და ვიტამინს, რომლებიც სასარგებლოა ორგანიზმისთვის და აქტიური მეტაბოლიზმისთვის: მაგნიუმი, კალიუმი, ვიტამინები E, C და B6. გარდა ამისა, ბანანი შეიცავს ბოჭკოს, რომელიც ახანგრძლივებს სისავსის შეგრძნებას, ასევე ფრუქტოზასა და გლუკოზას – სწრაფ ნახშირწყლებს, რომლებიც მყისიერად ანაყრებენ ორგანიზმს და ავსებენ ენერგიით.

3. თხილი. შეიცავს უამრავ ცილას, ასევე სპილენძს, მაგნიუმს და რიბოფლავინს (ვიტამინი B). ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას და ტვინის ფუნქციის სტიმულირებას.

4. მანდარინი და ფორთოხალი. ციტრუსები შეიცავს უამრავ C ვიტამინს, რომელიც მონაწილეობს ნეიროტრანსმიტერების – ნორეპინეფრინისა და სეროტონინის (ბედნიერების ჰორმონის) სინთეზში.

5. წყალი. თუ ცოტა წყალს დალევთ, სისხლი შესქელდება და მისი მოძრაობა შენელდება, ხოლო უჯრედებს ნაკლებად მიეწოდება ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები. მაშინაც კი, თუ ადამიანს საკმარისად სძინავს, მაგრამ ცოტა სითხეს სვამს, ის უფრო სწრაფად დაიღლება.

ამიტომ, თუ თავს ძალიან დაღლილად გრძნობთ, შეგიძლიათ, ყავის ან ჩაის ნაცვლად, ერთი ჭიქა სუფთა წყალი დალიოთ.

**ლალი ჩხიკვაძე**

# რობერტ დინგაშვილი ევროპის ჩემპიონია

მიმდინარე წლის16-18 თებერვალს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილმა რობერტ დინგაშვილმა.

რობერტმა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნახევარფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხა, ნახევარფინალში დასანანი მარცხი განიცადა,მესამე ადგილისათვის შეხვედრაში კი დაამარცხა საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ჩეჩენი სპორტსმენი და ღირსეულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

(მწვრთნელები ვანო ჭანტურიძე და გივი მეტრეველი).

ვუსურვებთ ევროპის ჩემპიონობას და წარმატებულ ასპარეზობას ვუსურვებთ ოლიმპიადაზე.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# რეგიონალური შეჯიბრი გეზრბენში

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში,ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, „ილიას ტბაზე“ რეგიონალური შეჯიბრი გაიმართა გეზრბენში.

შეჯიბრში სულ 11 გუნდი იღებდა მონაწილეობას: 7 გუნდი – ვაჟების, 4 გუნდი – გოგონების.

ვაჟთა კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანის სკოლამ, ხოლო II ადგილზე გავიდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანტლისყურის სკოლა.

გოგონათა კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის სკოლამ, ხოლო II ადგილზე გავიდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანდარის სკოლა.

შეჯიბრში გამარჯვებულ მონაწილეებს სიგელები და თასები გადაეცათ.

# მგალობელთა ოჯახი

## დაე, მუდამ გემღერებოდეთ თავისუფალსა და ეკონომიურად ძლიერ საქართველოში

გიორგი ლეონიძე ბრძანებდა: სამშობლოს სიყვარული შენი ეზო-კარმიდამოდან იწყებაო. დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, ამიტომ არის, რომ ყვარლის ლიტერატურული სალონი „ჩირაღდანი“ ქვეყნის, პირველ რიგში კი ყვარლის თვალყურმადევარია.

2023 წლის დასასრულს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ტელეიმედის პროექტმა „მიმღერე:“ აღნიშნულ პროექტში თავი გამოიჩინა მედეა და ალექსანდრე ჩიხიაშვილების ოჯახმა, ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ მათ წელინადის უმშვენიერესი თვის, გაზაფხულის მობრძანებას.

დაე, ეს ახალი 2024 წელი მათთვისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნისათვის უფრო წარმატებული იყოს.

ადამიანი ყოველთვის ცდილობს დროში მდგრადი მასალით უკვდავყოს თავი. ასე შეუნივთდება ხოლმე ლექსს პოეტი, საღებავს – მხატვარი, ქვას – ხუროთმოძღვარი, ხოლო მომღერლის სამუშაო მასალა სიმღერაა. სიმღერა, რომელშიც კომპოზიტორმა ჩააქსოვა თავისი სული და გული, შიგ ჩაანნა თავისი უკეთესი ფიქრნი და ზრახვანი. ყოველივე ამას კი კარგი შემსრულებელი სჭირდება. ასეთთა რიცხვში დამსახურებულად დაიკავა ადგილი ჩიხიაშვილების ოჯახმა. ცნობილმა მომღერლებმა აკი ერთხმად აღიარეს ასეთი ნიჭიერი ოჯახი საქართველოში ალბათ ცოტა იქნებაო.

ყვარლელები კარგად იცნობენ მათ ნიჭიერებას, ნინომ და ნანამ ბეღურას ფრთები შეისხეს და წინაპართა ნაკვალევზე დაბინავდნენ. ვტკბებით ნანას მიერ შექმნილი ანსამბლის „ნანინას“ სიმღერებით. ვიხიბლებით ნინოს მოსწავლეების ცეკვით. რაც შეეხება ბადრის, მან მგალობელი ბულბულის ფრთები შეისხა და გაფრინდა მშობლიური ყვარლიდან. პროექტმა „მიმღერე“ სრულყოფილად გააცნო მთელ საქართველოს ბადრი. მან საოცარი ხმითა და მომხიბვლელი გარეგნობით მალევე დაიპყრო მაყურებლისა და მონაწილე მომღერალთა გულები, ისმოდა საოცარი შეფასებები: „ბადრი მალე ლეგენდა გახდება“, „ბადრი აღმოჩენაა“, „ის ყველას დამხმარეა, საიმედო საყრდენია“. ანსამბლ „რუსთავის“ წევრებმაც კი განაცხადეს: „ბადრი ამშვენებდა ჩვენს ანსამბლს, როგორც გამორჩეული სოლისტი.

ბადრი ლაღად, გაშლილი ფრთებით გუგუნებდა: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“ და ივსებოდა გული სიამაყით და სიხარულით. დღეს ბადრი ჩიხიაშვლი ამშვენებს ანსამბლ „საქართველოს ხმებს“. იგი საუკეთესო შვილი, ძმა, მეუღლე და ორი შვილის მამაა. მისი პატარები მუსიკის ფონზე იზრდებიან. ვისურვებდი მამის ნიჭიერება მომადლოთ არსთა გამრიგემ მათ.

ნიჭიერებასთან ერთად ბადრის ღირსეულ თვისებას წარმოადგენს მადლიერების გრძნობა. ერთ-ერთი გამოსვლის დროს მან აღნიშნა, რომ მის წარმატებაში ოჯახთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილ წევრს, საუკეთესო ლოტბარს, ირაკლი მათიკაშვილს, რომელიც დღესაც ემსახურება ყვარელში ახალგაზრდების ესთეტიკურ აღზრდას.

ჩიხიაშვილებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს. დაე, დიდხანს ამშვენებდეს, ახმაურებდეს ყვარელს სიმღერის ანსამბლები „ნანინა“, „მელოდია“ და ცეკვის ანსამბლი „როკვა“. ვუსმენთ ჩიხიაშვილებს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მართლაც დიდი ძალა აქვს მუსიკას, სიმღერას, რომელიც გულშია გამოტარებული, რომელსაც საფუძვლად უდევს ბავშვის უშუალობა და ბრძენკაცის სიდინჯე. ესაა მისი შემქმნელის მარადიული სიცოცხლის საწინდარი. ჩიხიაშვილები ბედნიერები არიან, რომ ოჯახის ყველა წევრი ეზიარა სიმღერის მადლს. დაე, მუდამ გემღერებოდეთ თავისუფალსა და ეკონომიურად ძლიერ საქართველოში.

ჩვენს მილოცვას უერთდებიან კულტურის განვითარების ცენტრის თანამშრომლები (ხელმძღვანელი მაია ზარდიაშვილი) და ყვარლის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები (ხელმძღვანელი – ნინო მიქელაძე).

**ყვარლის ლიტერატურული სალონის წევრთა სახელით**
**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი**

# მისი ზოგიერთი ნამუშევარი იმდენად ემოციურია ჩემთვის, რომ პოეტურ ლირიზმსაც კი ვხედავ

რამდენადაც მრავალფეროვანია ადამიანის ბუნება, სამყაროს დანახვისა და აღქმის, გათავისების უნარი, იმდენად განმპირობებელია ხელოვნების ნაირსახეობისა და რამდენადაც ძალიან ბევრს საუბრობენ ფერწერასა და ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებზე, იმდენად ნაკლებად საუბრობენ ფოტოხელოვნებაზე, იშვიათად ეწყობა ფოტოგამოფენები საზოგადოების წინაშე; არადა ყოველ სულიერ საქმეს, გატაცებას, პროფესიას წარმოშობის საინტერესო ისტორია აქვს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ფოტოხელოვნება შემოქმედების ის სახეობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ფოტოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება, ფოტოხელოვნება პირველი "ტექნიკური" ხელოვნებაა, რომლის წარმოშობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მეცნიერებისა – ქიმიისა და ოპტიკისა და ტექნიკის გარკვეული მიღწევების საფუძველზე. ჩვენთვის ცნობილია თანამედროვე ფოტოხელოვნების ისეთი დამოუკიდებელი სახეობები, როგორიცაა დოკუმენტური ფოტოხელოვნება, მხატვრული ფოტოგრაფია და გამოყენებითი ფოტოხელოვნება: წიგნის გაფორმება, რეკლამა და სხვა. ხელოვნების ყოველ მიმართულებას თავისი ორეული ჰყავდა პიქტორულ (ფერწერის მიმბაძველი) ფოტოგრაფიაში. პიქტორალიზმს შემდგომში მხატვრული ფოტოგრაფია ეწოდა. მისმა მიმდევრებმა ბევრი გააკეთეს ფოტოგრაფიის გამომსახველობასა და პლასტიკურ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირის მისაღწევად. განსაკუთრებულ წარმატებებს კი მათ ფოტოპორტრეტში მიაღწიეს. ფოტოხელოვნების სხვა ჟანრები კი ამ დროს მთლიანად პიქტორული მიმართულებისა იყო; იქმნებოდა ძალიან რთული კომპოზიციები, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე ნეგატივის მონტაჟს მოითხოვდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის II ნახევარში ეთნოგრაფიულ-ნატურული ფოტოგრაფია მიზნად ისახავდა ცხოვრებისეული მასალის ზუსტ ფიქსაციას და საფუძვლად დაედო რეპორტაჟული ფოტოგრაფიის წარმოშობას. ფოტოხელოვნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფოტოგრაფიაში მოპოვებულ ტექნიკურ და მეცნიერულ მიღწევებს. იქმნებოდა სრულიად ახალი, სრულყოფილი და მრავალფეროვანი ფოტოობიექტივები და ფოტოოპტიკის სხვა ელემენტები; საფუძველი ჩაეყარა ფერად ფოტოგრაფიასაც. ფოტოხელოვნების ისტორიას რომ გადავხედოთ, 1910 წლებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა დოკუმენტალიზმი. გაძლიერდა ინტერესი ყოველდღიური ცხოვრების მიმართ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოტოხელოვნებისათვის რეპორტაჟულ გადაღებას "ფარული კამერით", ხანგრძლივ ფოტოგაკვირვებას, ფოტოსურათების შექმნას. დოკუმენტური ფოტოხელოვნების ამ ფორმების ჩამოყალიბება მჭიდროდაა დაკავშირებული კინოფირიანი მსუბუქი კამერის "ლაიკის" შექმნასთან. მხატვრულმა ფოტოგრაფიამ, რომელიც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ფოტოხელოვნების განვითარების ერთადერთ გზად მიაჩნდათ, XX საუკუნის შუა წლებში საკმაოდ მოკრძალებული ადგილი დაიკავა. ფოტოდოკუმენტალიზმისაგან განსხვავებით, რომელიც უშუალოდ აფიქსირებს ცხოვრებისეულ მომენტებს, მხატვრული ფოტოგრაფია განაგრძობდა არსებობას, როგორც ფოტოშემოქმედების გარკვეული ფორმა. 1970-იან წლებში მეტად გაძლიერდა მხატვრული ხედვით ფოტოგრაფიული ფორმების გავლენა ფერწერასა და გრაფიკაზე. XXს-ის II ნახ-ში ქართული ფოტოხელოვნება გამოირჩევა თემის მრავალფეროვნებით. ამ მრავალფეროვნებითა და ინდივიდუალური ხედვის თავისებურებით, ფსიქოლოგიური სიღრმით გამოიწვია ჩემში დაინტერესება სოფი პატარქლიშვილის ფოტოხელოვნებამ. მისი ზოგიერთი ნამუშევარი იმდენად ემოციურია ჩემთვის, რომ პოეტურ ლირიზმსაც კი ვხედავ, ამას ყველაზე უკეთ მისი ნამუშევრების დათვალიერების დროს შეიგრძნობთ. ფოტოხელოვანნი პროფესიული თვალით აფასებენ და მასში ღირსეულ ნამუშევარს რომ ხედავენ, სწორედ ამიტომ პროფესიული ჟურნალის "Drizzel Magazine" ყდაზე ათავსებენ, ინტერესსა და მოწონებას იწვევს, აფასებენ:"Hello,Congratulations, your submitted photo has been shortlisted by our team of editors for publishing in our upcoming edition. Regards Carol" სოფისთან ინტერვიუებს იწერენ. მის ნამუშევრებში მარტოოდენ ღმერთის მიერ ქმნილი სილამაზე, მშვენიერება ადამიანური და ბუნებრივი როდია გამოსახული, არამედ სოციალური ყოფა და ტრადიციული ღირებულება, სიძველის ფასი. მოკლედ, დიდად რომ არ შეგაწყინოთ თავი, წარმოგიდგენთ სოფი პატარქლიშვილის ნამუშევრებს და მისი შეფასება თქვენთვის მომინდვია.

**ეკატერინე ავაზაშვილი**

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86